პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი 24 მაისი 1939 წ.
№ 117 (5517)
ფასი 10 კაპ.

**გუშინ, 23 მაისს, სოციალიზმის ქვეყნის წითელ დედაქალაქში — მოსკოვში დაბრუნდნენ მოსკოვ-ჩრდილოეთ ამერიკის მარშრუტით გმირული გადაფრენის მონაწილენი — ამხანაგები ვლადიმერ კოკინაკი და მიხეილ გორდიენკო.**

**ჩვენი მხურვალე ბოლშევიკური სალამი საბჭოთა ხალხის მამაც, გულად მფრინავებს ვლადიმერ კოკინაკისა და მიხეილ გორდიენკოს!**



ამხ. ვ. კ. კოკინაკი



ამხ. მ. ხ. გორდიენკო

## სტალინური ეპოქის მამაცი გმირები

გუშინ მოსკოვში ჩამოვიდა თვითმფრინავ „მოსკვას“ გმირული ეკიპაჟი — ამხანაგები ვლადიმერ კოკინაკი და მიხეილ გორდიენკო. დედაქალაქის მშრომელებმა გულში ჩაიკრეს ჩვენი სამშობლოს ღირსეული შვილები, უშიშარი სტალინური შავარდნები, რომლებმაც მოახდინეს ბრწყინვალე გადაფრენა მოსკოვიდან ჩრდილოეთ ამერიკაში.

საბჭოთა ხალხი უდიდეს სიხარულს განიცდის ამ შესანიშნავი გადაფრენის კეთილად დამთავრების გამო. ჩვენმა ქვეყანამ ტრიუმფალური შეხვედრა მოუწყო სამშობლოში დაბრუნებულ გამარჯვებულ რაინდებს.

ბრიგადის მეთაური ვლადიმერ კოკინაკი და მაიორი მიხეილ გორდიენკო 28 აპრილს აფრინდნენ მოსკოვის აეროდრომიდან და უაღრესად ძნელ მეტეოროლოგიურ პირობებში განთიადიდან დაბინდებამდე დაჰფარეს 8 ათასი კილომეტრი. საბჭოთა ხალხის ღირსეული შვილები კოკინაკი და გორდიენკო თავის თავში ანსახიერებენ დიდი სტალინის მიერ აღზრდილ ათასობით გმირთა თვისებებს. ასეთ ადამიანებს ვერ აკრთობს ვერც მრისხანე ციკლონები, ვერც ყინვა-თოვლი და ვერც ღამის წყვდიადი. ისინი სძლევენ ყველა და ყოველგვარ დაბრკოლებას მიზნისაკენ მიმავალ გზაზე და წარმატებით ასრულებენ დიად სტალინურ დავალებებს.

ამხანაგებმა კოკინაკიმ და გორდიენკომ თავიანთი გოლიათური ნახტომით მოსკოვიდან ჩრდილოეთ ამერიკაში მთელი პროგრესიული მსოფლიოს აღტაცება გამოიწვიეს და კიდევ ერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩასწერეს საბჭოთა ავიაციის დიად გამარჯვებათა ისტორიაში.

დიდმა ბელადმა ამხანაგმა სტალინმა და საბჭოთა მთავრობის მეთაურმა ამხანაგმა მოლოტოვმა მთელი საბჭოთა ხალხის საერთო ფიქრი და გრძნობა გამოხატეს კოკინაკისა და გორდიენკოსადმი გაგზავნილ დეპეშაში, სადაც ისინი სწერდნენ:

„თქვენმა გადაფრენამ, რომლის დროსაც 22 საათსა და 56 წუთში 8 ათასი კილომეტრი იქნა დაფარული, ცხადჰყო, რომ საბჭოთა მამაც, გულად მფრინავებს შეუძლიათ წარმატებით გადასჭრან მსოფლიო ავიაციის უძნელესი ამოცანები“.

ჩვენი სამშობლო ამაყობს თავისი ავიაციით, რომლისთვისაც არ არსებობს მიუწვდომელი სივრცეები, გადაულახავი სიმაღლეები და დაუძლეველი ციხე-სიმაგრეები. და თუ ომის მრისხანე ჟამი დაჰკრავს, მძლავრ საბჭოთა მანქანებს, რომლებიც ახლა დანავარდობენ სუსხიანი ჩრდილოეთის მიუვალ სივრცეებში, ყოველ წუთს შეუძლიათ შეცვალონ მიმართულება და თავს დაატეხონ საბჭოთა იარაღის ყოვლის შემმუსრავი ძალა ყველას, ვინც შეეცდება თავს დაესხას საბჭოთა ხალხის მშვიდობიან ცხოვრებას.

ჩვენი სამშობლო ამაყობს თავისი სახელოვანი მფრინავებით, რომლებიც თავიანთი ლეგენდარული გადაფრენებით სახელითა და დიდებით მოსავენ სოციალიზმის სამშობლოს. ჩვენი ქვეყნის მამაცი შვილები კოკინაკები და გორდიენკოები ერთეულები როდი არიან. მძლავრი საბჭოთა ხალხი, რომელიც ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით გამარჯვებიდან გამარჯვებამდე მიდის, ათეულ ათასობით გამოჰყოფს თავისი წრიდან კოკინაკისა და გორდიენკოს მსგავს გმირული სულის ადამიანებს. როგორიც ხალხია, ისეთია მისი გმირები!

სავსებით სამართლიანად ლაპარაკობენ ამხანაგები კოკინაკი და გორდიენკო თავიანთ წერილში:

„ხალხის მხარდაჭერისა და დახმარების გარეშე ჩვენ ვერასოდეს ვერ შევძლებდით გადაფრენას მოსკოვიდან ჩრდილოეთ ამერიკაში. ხალხმა მოგვცა საუცხოო თვითმფრინავი, დიდმა სტალინმა აღგვაფრთოვანა, და ჩვენ მშვიდობიანად დავამთავრეთ ჩვენი შორეული რეისი. ჩვენი საყვარელი ბელადის ამხანაგ სტალინის სახელი ჩვენი გამარჯვების დროშა იყო. ამ დიადი სახელით ბაგეზე ჩვენ ვძლევდით დაბრკოლებებს, ვადავლახეთ ციკლონები და ვერაფერმა ვერ შეგვაჩერა დასახული მიზნისაკენ მიმავალნი“.

კოკინაკისა და გორდიენკოს ჭეშმარიტად გმირულ „ნახტომში“ მოსკოვიდან ამერიკის კონტინენტზე, როგორც სარკეში, ასახულია სოციალიზმის ქვეყნის ძალა და უძლეველობა. ამ ორი გმირის ბრწყინვალე გამარჯვება მთელი საბჭოთა ხალხის გამარჯვებაა, საყოველთაო-სახალხო ზეიმია.

დაე, კიდევ უფრო ძლიერდებოდეს და მუდამ უძლეველი იყოს საბჭოთა ხალხის სახელოვანი ავიაცია! დიდება და სახელი ჩვენი ქვეყნის ამაყ სტალინურ შავარდნებს — კოკინაკებსა და გორდიენკოებს!

დიდება და მრავალჟამიერ სიცოცხლე მძლავრი საბჭოთა ავიაციის შემქმნელს, საბჭოთა ხალხის ბედნიერების შემქმნელს—ჩვენს მშობლიურ დიდ სტალინს!

## თვითმფრინავ „მოსკოვის“ ეკიპაჟს — ამხანაგებს კოკინაკისა და გორდიენკოს

წითელი დედაქალაქის მშრომელთა სახელით მხურვალედ მოგესალმებით თქვენ, უშიშარ სტალინურ შავარდნებს, რომელთაც შესანიშნავი ძირდაუშვებელი გადაფრენა მოახდინეთ მოსკოვიდან ჩრდილოეთ ამერიკაში.

იშვიათმა გმირობამ და მაღალმა ოსტატობამ, რომელიც გამოიჩინეთ თქვენ გადაფრენის დროს, ერთხელ კიდევ დაანახვა მთელს მსოფლიოს საბჭოთა მფრინავების ვაჟკაცობა და სიმამაცე, საბჭოთა ავიაციის ძალა და სიმძლავრე, სოციალისტური კულტურის უმაგალითო პროგრესი და აყვავება.

მხოლოდ საბჭოთა მფრინავებს, რომელნიც აღფრთოვანებული არიან სტალინური სიყვარულით და მზრუნველობით, უსაზღვროდ ერთგულნი არიან თავისი სამშობლოსი, თავისი ხალხისა, მხოლოდ მათ შეეძლოთ მოსკოვიდან ჩრდილოეთ ამერიკაში ძირდაუშვებელი გადაფრენის უძნელესი ამოცანის გადაჭრა.

თქვენი გმირული გადაფრენა ასობით და ათასობით საბჭოთა მფრინავებს, საავიაციო მრეწველობის კონსტრუქტორებს და მუშაკებს, აღაფრთოვანებს ახალი დიადი საქმეებისათვის, თავისი სამშობლოს სადიდებლად და ასაყვავებლად.

**საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტი და მოსკოვის საქალაქო კომიტეტი.**

## საბჭოთა კავშირის გმირს ბრიგადის მეთაურს ვ. კ. კოკინაკის და მაიორ მ. ხ. გორდიენკოს

თქვენ, ამაყ სტალინურ შავარდნებს, რომლებმაც უმაგალითო გადაფრენა მოახდინეთ მოსკოვიდან ჩრდილოეთ ამერიკაში, ქალაქ ლენინგრადისა და მისი ოლქის მშრომელები თავის მხურვალე სალამს გიძღვნიან.

თქვენი გმირობა, გულადობა და იშვიათი საფრენოსნო ოსტატობა მკაფიოდ მოწმობს საბჭოთა ავიაციის ურყევ სიმძლავრეს. მხოლოდ სოციალიზმის ქვეყანაში აღზრდილ, დიდი სტალინის მიერ შთაგონებულ საბჭოთა ადამიანებს შესწევთ უნარი საგმირო საქმე შეასრულონ თავიანთ საყვარელი სამშობლოს სასახელოდ, მთელი მოწინავე კაცობრიობის პროგრესისათვის.

თქვენი მამაცობა და უშიშრობა მოუწოდებს საბჭოთა ხალხს ახალი გამარჯვებანი მოიპოვონ მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის დარგში, მოუწოდებს იბრძოლონ ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების შემდგომი აყვავებისა და განმტკიცებისათვის.

**საკ. კ. პ. (ბ) ლენინგრადის საოლქო და საქალაქო კომიტეტები.**

## სახელი და დიდება ამხანაგებს კოკინაკისა და გორდიენკოს!

დიდება თქვენ, მამაც მფრინავებს, სივრცეთა დამპყრობელთ!

თქვენ ხართ დიადი ხალხის ჭეშმარიტი შვილები და ლენინ-სტალინის მძლავრი პარტიის მიერ აღზრდილნი. თქვენმა გადაფრენამ, რომელმაც დასაბამი მისცა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების უმოკლესი გზით დაკავშირებას, გააძლიერა საბჭოთა ავიაციის დიდება.

თვითმფრინავი „მოსკოვი“, რომლითაც შესრულდა ბრწყინვალე რეისი, ნიჭიერი კონსტრუქტორების, ინჟინრების, მუშების მიერ შექმნილი საუცხოო მანქანაა. საავიაციო მრეწველობას შეუძლია იამაყოს ასეთი თვითმფრინავებით. თქვენი უნარიანი მძღოლობით მანქანამ გადალახა არაჩვეულებრივი ძალის პირქარები, ღრუბლების მრავალსართულიანი ფენები, ნისლი, უამინდობა და მშვიდობიანად დაეშვა ამერიკაში. თქვენ საოცარი საფრენოსნო ოსტატობა გამოიჩინეთ და აღტაცებაში მოიყვანეთ მთელი მსოფლიო.

ბრწყინვალე გადაფრენა დამთავრებულია. თქვენ კვლავ მშობლიურ მოსკოვში ხართ დიად საბჭოთა ხალხთან ერთად. მაგრად გართმევთ ხელს. გისურვებთ შემდგომ წარმატებებს მუშაობაში, რომელიც დიდებას უქმნის მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს სტალინურ ავიაციას.

**ა. სტახანოვი**

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის გახსნისათვის

**კავშირის საბჭოს სესია გაიხსნება 25 მაისს ნაშუადღევის 2 საათზე კრემლში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომის დარბაზში.**

○

**ეროვნებათა საბჭოს სესია გაიხსნება 25 მაისს ნაშუადღევის 4 საათზე კრემლში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომის დარბაზში.**

## საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში

ფინეთის მთავრობამ სსრ კავშირის მთავრობას მიჰმართა შუამდგომლობით — დახმარება აღმოუჩინოს იმ საკითხში, რომ გადასინჯულ იქნას 1921 წლის კონვენცია, რომლის თანახმადაც ალანდის კუნძულები არ უნდა შეიარაღდეს და ნეიტრალიზებულ უნდა იქნას. ეს კონვენცია ხელმოწერილი იყო 22 სახელმწიფოს მიერ.

თუმცა ამ კონვენციაზე სსრ კავშირს ხელი არ მოუწერია, მაგრამ საბჭოთა მთავრობა ამ საქმეში მაინც განსაკუთრებით დაინტერესებულად სთვლიდა და სთვლის თავის თავს. ამჟამად ფინეთი ცდილობს გადასინჯოს ეს 1921 წლის კონვენცია, რადგან სურს შვეციასთან ერთად მოახდინოს ალანდის კუნძულების შეიარაღება. ამის გამო საბჭოთა მთავრობამ ფინეთის მოსკოველი ელჩის საშუალებით მოითხოვა მთელი რიგი ცნობები ალანდის კუნძულების განზრახული შეიარაღების ხასიათისა და ოდენობის შესახებ. სსრ კავშირისათვის ამას მით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ფინეთის ყურის შესავალთან მდებარე ალანდის კუნძულების შეიარაღება შეიძლება ომის დროს გამოყენებულ იქნას იმისათვის, რომ იგი ჩაჰკეტონ საბჭოთა გემებისათვის.

რადგანაც ალანდის კუნძულების შეიარაღების მიზანი გამოურკვეველი რჩება, ხოლო ფინეთის მთავრობამ უარი სთქვა ამ შეიარაღების ოდენობისა და ხასიათის შესახები ცნობების მოცემაზე, საბჭოთა მთავრობის აზრით, ამ პირობებში იგი მოკლებულია შესაძლებლობას იქონიოს აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისათვის საჭირო მასალები და ამის გამო მითითება მისცა თავის წარმომადგენელს ერთა ლიგაში გადაადებინოს ამ საკითხის განხილვა ერთა ლიგის საბჭოს.

## ერთა ლიგის საბჭოს სესიაზე

**ჟენევა,** 23 მაისი (საკდესი). დღეს დილით შეიკრიბა სამთა კომიტეტი (ინგლისი, საფრანგეთი და შვეცია), რომელსაც დავალებული აქვს თვალყური ადევნოს დანციგის მდგომარეობას. კომიტეტმა დაადგინა დაუყოვნებლივ გაჰგზავნოს დანციგს ერთა ლიგის უმაღლესი კომისარი ბურკჰარდტი, რომელიც ამ უკანასკნელი თვეების განმავლობაში ჟენევაში იმყოფებოდა. იუწყებიან, რომ ეს გადაწყვეტილება მიღებულია პოლონეთის მთავრობის თანხმობით.

○

**ჟენევა,** 23 მაისი (საკდესი). ამხ. მაისკიმ, როგორც ერთა ლიგის საბჭოს თავმჯდომარემ, დღეს საუზმე გაუმართა საბჭოს ყველა წევრს.

## სსრკ კომპოზიტორთა კავშირის ორგკომიტეტის პირველი სხდომა

22 მაისს გაიხსნა სსრკ საბჭოთა კომპოზიტორების კავშირის ორგკომიტეტის პირველი სხდომა. ორგკომიტეტის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა რ. ი. გლიერმა გააკეთა მოხსენება ორგკომიტეტის ამოცანებისა და საბჭოთა მუსიკალური კულტურის განვითარების შესახებ.

მომხსენებელმა დასახა ორგკომიტეტის უახლოესი პრაქტიკული ამოცანები. ამ ამოცანათა შორის მან დაასახელა: ყველა მოკავშირე რესპუბლიკის კომპოზიტორთა შემოქმედებითი ცხოვრების შესწავლა, კომპოზიტორთა გაერთიანება ადგილობრივ შემოქმედებით კავშირებად, საბჭოთა კომპოზიტორების საუკეთესო ნაწარმოებთა პროპაგანდა, შემოქმედი მუშაკების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება და სხვ.

რ. მ. გლიერის მოხსენების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის სახალხო არტისტმა უზეირ გაჯიბეკოვმა, საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დ. ი. არაყიშვილმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ი. ო. დუნაევსკიმ, დმ. პოკრასმა, ი. ა. შაპორინმა, ი. ი. ძერჟინსკიმ, ვანო მურადელმა, ვ. ა. ბელიმ, სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობის აღმსრულებელმა მ. ვ. ხრაპჩენკომ და სხვ.

ორგკომიტეტის მუშაობა გაგრძელდება 23 და 24 მაისს. განიხილავენ და დაამტკიცებენ სსრკ საბჭოთა კომპოზიტორების კავშირის წესდებას, სსრ კავშირის სამუსიკო ფონდის წესდებას და ორგკომიტეტის მუშაობის გეგმას. (საკდესი).

## მოსკოვი გმირებს ეგებება

მოსკოვის ქუჩებში დილიდანვე გაისმა „საავიაციო მარშის“ ხმა. ათეულობით რადიორუპორი გადმოგვცემდა საყვარელ ხალხურ სიმღერათა მელოდიებს. ბელორუსიის ვაგზლის პერონი და მოედანი მხატვრებმა შეამკეს. გორკის ქუჩა სადღესასწაულოდ იყო მორთული. დედაქალაქი აღფრთოვანებით შეხვდა უშიშარ სტალინურ შავარდნებს ვლადიმერ კოკინაკისა და მიხეილ გორდიენკოს, რომლებმაც უმაგალითო გადაფრენა მოახდინეს მოსკოვიდან ჩრდილოეთ ამერიკაში უმოკლესი ტრანსატლანტიკური ტრასით.

დიდი ხნით ადრე ნეგორელოედან ექსპრესის ათასობით ადამიანმა ცოცხალი ყვავილების თაიგულებით ხელში აავსო ქუჩები, სადაც გმირებს უნდა გამოევლოთ. შენობათა ფრონტონებზე გამოკიდულია საბჭოთა მფრინავების შესანიშნავი გმირობის შთამგონებლის ამხანაგ სტალინის, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების პორტრეტები და პლაკატები, რომლებზედაც გამოსახულია გადაფრენის რუკა. სახლები გარშემორტყმულია უზარმაზარი წითელი ტილოებით, რომლებზედაც აღბეჭდილია მხურვალე სალამი საბჭოთა ხალხის სახელოვანი შვილებისადმი, ლენინ-სტალინის უძლეველი პარტიის მიერ აღზრდილი ადამიანებისადმი, სოციალიზმის ქვეყნის გმირი ავიატორების — ვ. კოკინაკისა და მ. გორდიენკოსადმი.

4 საათსა და 13 წუთზე მოხვეულში გამოჩნდა მძლავრი ორთქლმავლის „იოსებ სტალინის“ სილუეტი. გაისმის „საავიაციო მარში“, მატარებელი დებარკადერს მოადგა. გმირები უკვე მშობლიურ მოსკოვში არიან! სალონ-ვაგონის ღია ფანჯარაში მფრინავთა ნაცნობი, ძვირფასი სახეები გამოჩნდა. დამხდურებმა მფრინავებს მიაშურეს, ისინი გულში ჩაიკრეს. გმირები ბაქანზე გადმოვიდნენ. საპატიო სამხედრო ყარაულის უფროსი მაიორი იაკოვლევი პატაკს აძლევს ამხ. კოკინაკისა და გორდიენკოს—წითელი არმიის შესანიშნავ მეთაურებს.

ვაგზლის წინა მოედანზე გმირებს მოზეიმე ხალხი ელოდება. სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილე არმიის 1-ლი რანგის კომისარი ამხ. ლ. ზ. მეხლისი საზეიმო მიტინგს ხსნის. იგი მხურვალე ბოლშევიკურ სალამს უძღვნის სამშობლოს მამაც შვილებს, ულოცავს მათ საუცხოო ძირდაუშვებელ გადაფრენის დამთავრებას. პირველი სიტყვა ეძლევა საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის მდივანს ამხ. ა. ს. შჩერბაკოვს, რომელიც გამოდის საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და მოსკოვის ორგანიზაციათა სახელით.

საბჭოთა მფრინავების სახელით სიტყვას ამბობს საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. ა. ვ. ბელიაკოვი.

მიკროფონთან მიდის ვ. კ. კოკინაკი. მოედანს მძლავრი ოვაცია ფარავს. აღფრთოვანებული ტაშის გრიალი დიდხანს არ ანებებს ლეგენდარული თვითმფრინავის „მოსკოვის“ მამაც მეთაურს სიტყვის დაწყებას.

შემდეგ მგზნებარე სიტყვას ამბობს მაიორი მ. ხ. გორდიენკო.

მიტინგი დამთავრდა. გუგუნებს „ინტერნაციონალი“. მოედანზე დიდხანს ჰქუხს „ვაშას“ ძახილი ხალხთა ბელადის ამხანაგი სტალინის პატივსაცემად, სტალინური შავარდნების კოკინაკისა და გორდიენკოს პატივსაცემად.

გმირები გორკის ქუჩით გაემართნენ. მოზეიმე მოსკოვი აღტაცებით ესალმება სამშობლოს საყვარელ ადამიანებს, ფრთოსან ბოლშევიკებს, ახალი საავიაციო ტრასის პიონერებს. (საკდესი).

## გამარჯობა მოსკოვო!

გამარჯობა მოსკოვო! გამარჯობა ძვირფასო მოსკოველებო! ჩვენ უსაზღვროდ ბედნიერნი ვართ, რომ შინ — მშობლიურ საბჭოთა ოჯახში დავბრუნდით. იმ მომენტიდან, როდესაც ფეხი შემოვდგით საბჭოთა მიწა-წყალზე ნეგორელოეში, ჩვენ ვგრძნობთ, რომ არაჩვეულებრივი ენერგია და სიმხნე შეგვემატა. აქეთობას გზა გრძელი, უსასრულო გვეჩვენებოდა, რადგან გვინდოდა რაც შეიძლება ჩქარა დავბრუნებულიყავით ჩვენს სამშობლოში, რაც შეიძლება მალე გვენახა ჩვენი ხალხი, რომელმაც ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით შეჰქმნა ბედნიერი, სასიხარულო ცხოვრება. ამერიკისა და ევროპის მშრომელებს მხოლოდ ოცნება თუ შეუძლიათ ასეთ ცხოვრებაზე.

ჩვენს საზღვრებს იქით ავიაციის, მეცნიერებისა და ხელოვნების მრავალ სახელოვან მოღვაწეს შევხვდით. ისინი აღტაცებით ლაპარაკობენ დიადი საბჭოთა ხალხის თავისუფალ ცხოვრებაზე. ამერიკაში ჩვენ ვნახეთ შესანიშნავი სამხედრო და სამოქალაქო ავიატორები. მაგრამ მათგან ცოტანი და ისიც მხოლოდ დიდი კაპიტალის მფლობელნი, ახერხებენ თავიანთი განზრახვის განხორციელებას. ამერიკელ მფრინავთა უმრავლესობა კი საშუალებას მოკლებულია რამდენიმედ მნიშვნელოვანი შორგადაფრენა მოახდინოს. იქ ყოველივე დოლარს ემორჩილება. იქ სახელმწიფო მფრინავს უფასოდ არ აძლევს თვითმფრინავს, კიდევაც რომ უნდოდეს მას კაცობრიობის პროგრესის გულისათვის მოახდინოს გაფრენა ახალი გაუკვლეველი საჰაერო ტრასით.

ჩვენ კი, საბჭოთა მფრინავებს, ბოლშევიკური პარტიის მშობლიური მთავრობის ზრუნვის მეოხებით გვაქვს ყველაფერი ჩვენს განკარგულებაში და ჩვენი ოცნება შეგვიძლია რეალობად ვაქციოთ.

ხალხის მხარდაუჭერლად და დაუხმარებლად ჩვენ ვერასოდეს ვერ შევძლებდით გადავფრენილიყავით მოსკოვიდან ჩრდილოეთ ამერიკაში. ხალხმა ჩვენ საუცხოო თვითმფრინავი მოგვცა, დიდმა სტალინმა აღგვაფრთოვანა, და ჩვენც მშვიდობით დავამთავრეთ ჩვენი შორეული რეისი. ჩვენი გამარჯვების დროშა იყო ჩვენი საყვარელი ბელადის ამხანაგ სტალინის სახელი. ჩვენ ამ დიად სახელს ვახსენებდით, ამით ვძლევდით დაბრკოლებებს, ვაპობდით ციკლონებს და არაფერს არ შეეძლო შევეჩერებინეთ დასახული მიზნისაკენ მავალნი.

ჩვენმა გადაფრენამ მთელს მსოფლიოს დაანახვა, თუ რა მძლავრი ფრთები აქვს საბჭოთა ხალხს, რა შესანიშნავ მანქანებს უშვებს ჩვენი საავიაციო მრეწველობა. დაე, იცოდნენ ჩვენმა მტრებმა, რომ სტალინური ავიაციისათვის არ არსებობს დაუძლეველი დაბრკოლებანი, არ არსებობს დედამიწაზე მიუწვდომელი ადგილები. ომის მრისხანე ჟამს ჩვენ, მფრინავები, ჩვენს საბჭოთა ხალხთან ერთად გამოვალთ ჩვენი მთავრობის პირველი მოწოდებისთანავე მშობლიური მიწა-წყლის დასაცავად და გავანადგურებთ მტერს მისსავე ტერიტორიაზე. თუ საჭირო იქნება, ჩვენ, სანამ პირში სული გვიდგას, მზად ვართ არ დავზოგოთ მთელი ჩვენი ძალღონე სამშობლოსათვის, სტალინისათვის.

**ვ. კოკინაკი**
**მ. გორდიენკო**

ექსპრესი ნეგორელოე-მოსკოვი
23 მაისი.

## მოსკოვიდან ჩრდილო ამერიკაში ძირდაუშვებელი გადაფრენის მონაწილეთა—ვ. კ. კოკინაკისა და მ. ხ. გორდიენკოს დარბაზობა კრემლში

23 მაისს საღამოს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მთავრობამ კრემლის დიდ სასახლეში დარბაზობა გაუმართეს მოსკოვიდან ჩრდილო ამერიკაში ძირდაუშვებელი გადაფრენის მონაწილეთ — ამხ. ვ. კ. კოკინაკისა და მ. ხ. გორდიენკოს. გიორგის დარბაზში შეიკრიბნენ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრები, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, საბჭოთა კავშირის გმირები, მფრინავები, თვითმფრინავთა კონსტრუქტორები და მშენებლები, მეცნიერებისა და ხელოვნების მუშაკები.

დამსწრენი მქუხარე ხანგრძლივი ოვაციით მიესალმნენ ამხანაგებს: **სტალინს, მოლოტოვს, ვოროშილოვს, კაგანოვიჩს, კალინინს, ანდრეევს, მიქოიანს, ჟდანოვს, ხრუშჩოვს, ბერიას, შვერნიკს, მალენკოვს, შჩერბაკოვს,** უმაღლესი სამხედრო სარდლობის წარმომადგენლებს, მიესალმნენ ამხ. კოკინაკისა და გორდიენკოს.

ამხანაგმა სტალინმა და მისმა თანამებრძოლებმა მეგობრულად მაგრად ჩამოართვეს ხელი სამშობლოში დაბრუნებულ მამაც მფრინავებს.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს სახელით გმირ მფრინავებს გულითადად მიესალმა ამხანაგი მოლოტოვი.

მოკლე სიტყვა წარმოსთქვეს ამხ. კოკინაკიმ და გორდიენკომ, რომლებმაც მხურვალე მადლობა გადაუხადეს პარტიას, მთავრობასა და ამხანაგ სტალინს მფრინავებზე მათი ზრუნვისათვის.

დარბაზობის მონაწილეთათვის გაიმართა სსრ კავშირის წითელარმიული სიმღერისა და ცეკვის წითელდროშოვანი ანსამბლის დიდი კონცერტი.

(საკდესი).

## ამხ. კოკინაკისა და გორდიენკოს შეხვედრა ნეგორელოეში

**ნეგორელოე,** 23 მაისი (საკდესი). ნაშუაღამევის 1 საათი და 30 წუთია. ასე გვიან ნეგორელოეს სადგურის ბაქანზე ტევა არ არის. 1500-ზე მეტი კაცი მოვიდა სახელოვანი გმირების შესახვედრად. მათ შორის არიან: მინსკის მშრომელთა დელეგაცია, ბელორუსიის სსრ სახკომსაბჭოს, ბელორუსიის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრები. ტრიბუნასთან ჩამწკრივებულან ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი ქალები, რომელნიც გამოწყობილი არიან ეროვნული ტანისამოსით და ხელში უჭირავთ ცოცხალი ყვავილების დიდი თაიგულები.

1 საათი და 40 წუთია. ექსპრესი ბაქანს უახლოვდება. ორკესტრი ასრულებს „ინტერნაციონალს“. გაისმის აღფრთოვანებული შეძახილები დიდი სტალინის პატივსაცემად, თვითმფრინავ „მოსკოვის“ გმირი ეკიპაჟის ამხ. კოკინაკისა და გორდიენკოს პატივსაცემად. გმირები ვაგონიდან გამოდიან, გულმხურვალედ ესალმებიან მესაზღვრეებს, ცოლებს, ბელორუსიის მშრომელთა წარმომადგენლებს, რომლებიც მათ შესახვედრად მოვიდნენ. ტრიბუნაზე ასვლისას მფრინავებს დამსწრენი ყვავილებს აყრიან.

მიტინგს ხსნის ბელორუსიის კ. პ. (ბ) მინსკის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. მატვეევი. სიტყვა ეძლევა ბელორუსიის სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. კულაგინს, რომელიც ბელორუსიის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ბელორუსიის სსრ სახკომსაბჭოს სახელით სალამს უძღვნის სახელოვან სტალინურ შავარდნებს. შემდეგ გამოდიან: მფრინავი ამხ. ჩიკუნოვა, ძერჟინსკის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინსკი პუტის“ თავმჯდომარე ამხ. ნოსკო და მესაზღვრე ამხ. ტიკანოვი.

სიტყვა ეძლევა საბჭოთა კავშირის გმირს, ბრიგადის მეთაურს ამხ. კოკინაკის. ხანგრძლივი მქუხარე ტაში დიდხანს არ აძლევს მას ლაპარაკის საშუალებას.

— ყველაზე მძიმე და ყველაზე დამღლელი, — ამბობს ამხ. კოკინაკი,—აქეთობას მგზავრობა იყო. გვინდოდა რაც შეიძლება მალე გვენახა ჩვენი ოჯახი, მშობლიური ხალხი, რომელიც თავისი ხელით სჭედავს თავის ბედნიერებას, ჰქმნის მშვენიერ ცხოვრებას. მე ვამაყობ, რომ ვარ დიადი საბჭოთა ხალხის შვილი, ვამაყობ, რომ საშუალება მეძლევა გამოვიყენო საბჭოთა ხალხის მიერ შექმნილი დიადი და მძლავრი ტექნიკა.

გაუმარჯოს დიად საბჭოთა ხალხს, გაუმარჯოს ხალხთა დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს — ვაშა!

ამხ. კოკინაკის უკანასკნელ სიტყვებს მძლავრი, ხანგრძლივი „ვაშა“ ჰფარავს.

ამხ. გორდიენკოს გამოსვლის შემდეგ, რომელმაც მხურვალე მადლობა უძღვნა დიდ სტალინს მამობრივი მზრუნველობისა და საბჭოთა მფრინავების აღზრდისათვის, მიტინგი დაიხურა.

2 საათსა და 40 წუთზე ამხანაგები კოკინაკი და გორდიენკო მოსკოვს გაემგზავრნენ.

## საომარი მასალის მრეწველობის მუშაკთა დაჯილდოება

საომარი მასალის წარმოების დარგში მთავრობის დავალების წარმატებით შესრულებისათვის, მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტისათვის საჭირო საომარი მასალის ახალი ნიმუშების ათვისებისათვის და სტახანოვური მუშაობის სანიმუშოდ მოწყობისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა საომარი მასალის მრეწველობის მთელი რიგი მუშაკები.

**ლენინის ორდენით** დაჯილდოებულია 43 კაცი.

**შრომის წითელი დროშის ორდენით** — 117 კაცი.

**წითელი ვარსკვლავის ორდენით** — 76 კაცი.

**„საპატიო ნიშნის“ ორდენით** — 120 კაცი.

**მედლით „შრომითი მამაცობისათვის“** დაჯილდოებულია — 205 კაცი, **მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“** — 213 კაცი. (საკდესი).

# ᲛᲘᲢᲘᲜᲑᲘ ᲑᲔᲚᲝᲠᲣᲡᲘᲘᲡ ᲕᲐᲒᲖᲚᲘᲡ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲖᲔ

## ᲐᲛᲮ. Ა. Ს. ᲨᲩᲔᲠᲑᲐᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

(საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და მოსკოვის ორგანიზაციებისაგან)

ძვირფასო ამხანაგებო, ვლადიმერ კოკინაკი და მიხეილ გორდიენკო!

თქვენ, საბჭოთა ხალხის შესანიშნავ შვილებს, მხურვალე ბოლშევიკურ სალამს გიძღვნით სრულიად-საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მთავრობის, ჩვენი წითელი დედაქალაქის—მოსკოვის ბოლშევიკებისა და ყველა მშრომელის სახელით და გილოცავთ მოსკოვ-ჩრდილოეთ ამერიკის მარშრუტით შესანიშნავი გადაფრენის წარმატებით დამთავრებას!

თქვენი გადაფრენით, რამაც აღტაცება გამოიწვია მთელს მსოფლიოში, თქვენ ახალი ფურცელი ჩასწერეთ ჩვენი დიადი სამშობლოს გამარჯვებათა მატიანეში. გახსნილია ახალი, ჯერ კიდევ ყველასათვის უცნობი საჰაერო გზა. ფოლადის ფრინველმა, რომლის წითელ ფრთებზედაც აღბეჭდილია მთელი მსოფლიოს მშრომელთათვის ახლობელი სიტყვა—**მოსკოვი**—სწრაფად გადაუქროლა სკანდინავიის მთის მწვერვალებს, გადასერა ატლანტური ოკეანე, გასცილდა ლაბრადორის მთებს და დაეშვა ჩრდილოეთ ამერიკაში.

მოახდინა რა თავის დროზე გმირული გადაფრენა თვითმფრინავ „მოსკოვით" სახმელეთო ტრასით დედაქალაქიდან შორეულ აღმოსავლეთში, გამოსცადა რა ამ მანქანის შესანიშნავი საფრენოსნო თვისებანი და დარწმუნდა რა იმაში, რომ საბჭოთა ტექნიკა არ უღალატებს,—საბჭოთა კავშირის გმირი ვლადიმერ კოკინაკი და მისი მებრძოლი ამხანაგი შტურმანი მიხეილ გორდიენკო შეუდგნენ სახმელეთო თვითმფრინავით იშვიათი სიძნელის გადაფრენას ატლანტური ოკეანის თვალუწვდენელ სივრცეებზე.

საბჭოთა მფრინავების ყველა გამარჯვებული გადაფრენა, ისევე როგორც ყველა ჩვენი მიღწევა, შემთხვევითი არ არის. ისინი შეიძლებოდა მომხდარიყო მარტო სოციალიზმის ქვეყანაში, ისინი წარმოადგენენ იმ უდიდესი მუშაობის, ტიტანური შრომის შედეგს, რომელსაც საბჭოების ქვეყნის მშრომელები ეწევიან ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით, ჩვენი მშობლიური, დიდი ამხანაგი სტალინის ხელმძღვანელობით.

მოსკოვიდან ჩრდილოეთ ამერიკაში ძირდაუშვებელმა გადაფრენამ ერთხელ კიდევ დაანახვა მთელს მსოფლიოს საბჭოთა ტექნიკის ძალა, ოსტატობა, მამაცობა და გულადობა საბჭოთა მფრინავებისა, რომელთაც უძნელესი ამოცანების გადაწყვეტა შეუძლიათ.

შესანიშნავი საბჭოთა ავიაცია, რომლის შემოქმედიც ამხანაგი სტალინია, ყველაზე უფრო დამაჯერებელი გამოხატულებაა მაღალი ტექნიკური პროგრესისა, რომელსაც ინდუსტრიალიზაციისა და სტალინური ხუთწლედების გზით მიაღწია ჩვენმა ქვეყანამ.

ავიაციას უდიდესი სახალხო-სამეურნეო და კულტურული მნიშვნელობა აქვს, მაგრამ დღევანდელ დაძაბულ საერთაშორისო ვითარებაში, კაპიტალისტური გარემოცვის ვითარებაში, რომელშიც მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო ცხოვრობს, ავიაციას—და ეს ყველამ უწყის—პირველხარისხოვანი თავდაცვითი მნიშვნელობა აქვს. აი რატომ არის, რომ ამხანაგი კოკინაკისა და გორდიენკოს შესანიშნავ გადაფრენას უდიდესი თავდაცვითი მნიშვნელობა აქვს.

მოსკოვის მშრომელები და მთელი საბჭოთა ხალხი უდიდესი ყურადღებით ადევნებდნენ თვალყურს თქვენს გადაფრენას. ჩვენ მოუთმენლად მოველოდით ყოველ თქვენს ცნობას. და ჩვენს ქვეყანაში სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. გადაფრენას ხომ ჩვენი მშობლიური და მახლობელი ადამიანები ახდენდნენ; ისინი მიფრინავდნენ საბჭოთა მანქანით, რომლის მოტორი, ხელსაწყო და ყოველი სულ პაწია ხრახნიც კი სიყვარულით გააკეთეს თავიანთი ხელით ჩვენმა მუშებმა, ინჟინრებმა და ტექნიკოსებმა.

ჩვენი ქვეყნის, სოციალიზმის ქვეყნის უდიდესი ძალა იმაშიც მდგომარეობს, რომ ისეთი ადამიანები, ისეთი კადრები, როგორიც არიან საბჭოთა კავშირის გმირები, ცოტანი როდი გვყავს. მრავალი ათასი საბჭოთა ადამიანი გმირი ხდება, როდესაც ამას მოითხოვს გარემოება, მოითხოვს სოციალიზმის სამშობლო.

ამხანაგებო, ერთი წუთითაც არ დავივიწყებთ ამხანაგი სტალინის მითითებას, რომ არ შეიძლება დავტკბეთ წარმატებებით, დავკმაყოფილდეთ მიღწეულით, რომ ჩვენ დაუცხრომლად უნდა ვიფიქროთ ხვალინდელი დღისათვის. ეჭვი არ არის, რომ საბჭოთა ავიაცია, საბჭოთა მფრინავები, მთელი საბჭოთა ხალხი, რომელთაც ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტია, რომელთაც ხელმძღვანელობს მისი ბრძენი ბელადი დიდი სტალინი, ყველა სიძნელეს დასძლევენ, გზიდან ჩამოიშორებენ ყველა დაბრკოლებასა და ხელის შემშლელ პირობას და ახალ-ახალ პოზიციებსა და სიმაღლეებს დაიპყრობენ.

ვლადიმერ კოკინაკი და მიხეილ გორდიენკო დიდი საბჭოთა ხალხის ღირსეული შვილები არიან! ხალხი აფასებს, მას უყვარს თავისი სტალინურად აღზრდილი შვილები—სოციალიზმის ქვეყნის გმირი მფრინავები.

გაუმარჯოს სახელოვან მფრინავებს ვლადიმერ კოკინაკისა და მიხეილ გორდიენკოს!

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ საბჭოთა ხალხს!

გაუმარჯოს მშრომელთა ბელადს, ბრძენ მშობლიურ, დიდ სტალინს!

**(მქუხარე ტაში. ორკესტრი „ინტერნაციონალს" უკრავს).**

## ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲘᲡ ᲐᲛᲮ. Ა. Ვ. ᲑᲔᲚᲘᲐᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

(საბჭოთა მფრინავებისაგან)

თავის სამშობლოსათვის სიამაყის გრძნობით ეგებება საბჭოთა კავშირის მფრინავთა სამყარო სტალინური ეპოქის ჩვენს შესანიშნავ ადამიანებს—ამხანაგ ვლადიმერ კონსტანტინეს-ძე კოკინაკისა და მიხეილ ხარიტონის-ძე გორდიენკოს, რომლებმაც დაიპყრეს საჰაერო სივრცეები.

კლიმატური პირობების მხრივ მთელს დედამიწაზე უძნელესი საჰაერო ტრასი ისტორიაში პირველად არის გამოკვლეული და გაყვანილი ორი საბჭოთა მფრინავის მიერ. მათ პირველებმა დაამტკიცეს, რომ პრაქტიკულად სავსებით შესაძლებელია განხორციელებულ იქნას უმოკლესი საჰაერო გზა სსრ კავშირსა და ჩრდილოეთ ამერიკას შორის, და ამით ერთხელ კიდევ დაუმტკიცეს მთელს მსოფლიოს, რომ სოციალიზმი კულტურისა და პროგრესის აყვავებაა, რომ სწორედ საბჭოთა წყობილება აძლევს შესაძლებლობას ადამიანს გამოიჩინოს თავისი საუკეთესო თვისებანი.

საბჭოთა ქვეყნის მრავალი მფრინავი ოცნებობს ისევე იფრინოს, როგორც კოკინაკი ფრინავს, დაიპყროს მაღლობები და სიშორენი, ხელოვნურადააფრინოს ჰაერში მძიმე მანქანა და ფრთხილად და ოსტატურად დაუშვას იგი დედამიწაზე. და ამ ოცნებაში უნიადაგო არაფერია. საბჭოთა ქვეყანაში, რომელსაც გენიალური სტალინი ხელმძღვანელობს, შესაძლებელია უაღრესად მამაცურ და უაღრესად გაბედულ ოცნებათა განხორციელება.

ჩვენი საჰაერო ფლოტის ბევრი ინჟინერი და საავიაციო ტექნიკოსი უდიდეს ბედნიერებად ჩასთვლიდა მონაწილეობა მიეღო ისეთი შესანიშნავი თვითმფრინავის მშენებლობასა და ექსპლუატაციაში, როგორიც არის ამხ. კოკინაკის თვითმფრინავი „მოსკოვი".

ბევრ შტურმანს სურს იყოს ამხ. გორდიენკოს ადგილზე, რათა გადასეროს დედამიწა ჯერ კიდევ გამოუკვლეველი გზებით, სძლიოს ქარს, ღრუბელსა და ციკლონებს და ათასობით კილომეტრის გავლით მიიყვანოს თვითმფრინავი მტკიცედ დასახულ მიზნამდე. მათ სამართლიანად შეუძლიათ იოცნებონ, რადგან ჩვენი მთავრობისა და ამხანაგ სტალინის ზრუნვის მეოხებით საბჭოთა ავიაცია იზრდება და უმჯობესდება არა დღითი-დღე, არამედ საათობით.

ჩვენი თვითმფრინავების ურთულესი თანამედროვე მოწყობილობა საშუალებას იძლევა არ მოვერიდოთ ფრენის მანძილს. საკმაოა ვთქვათ, რომ შტურმან გორდიენკოს, მისკოუს კუნძულზე დაშვების მომენტამდე, რადიოთი ორმხრივი კავშირი ჰქონდა სამშობლოსთან. ამხ. გორდიენკოს განკარგულებაში იყო უაღრესად რთული და თანამედროვე ხელსაწყოები ასტრონომიული და რადიოორიენტირებისათვის.

ჩვენი მრეწველობის მუშებს, ინჟინრებსა და ტექნიკოსებს სამართლიანად შეუძლიათ იამაყონ თავიანთი ქმნილებით — თვითმფრინავ „მოსკოვით".

ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის მიერ გამოზრდილ ამხანაგებს — კოკინაკისა და გორდიენკოს, როგორც ჭეშმარიტ ბოლშევიკებს, როგორც ჩვენი ხალხის საყვარელ შვილებს — გმირულ გაფრენისათვის ყველა საჭირო თვისება მოეპოებოდათ. სსრ კავშირის ხალხთა ბელადის ამხანაგი სტალინის ზრუნვით გამოზრდილებმა, მისი მოწოდებით გამხნევებულებმა, მათ გვიჩვენეს, თუ როგორ უნდა გვიყვარდეს ჩვენი სამშობლო, როგორ უნდა ვებრძოდეთ სიძნელეებს, როგორ უნდა ვძლევდეთ ამ სიძნელეებს.

თქვენ, ამხ. კოკინაკი, და თქვენ, ამხ. გორდიენკო, იმის მაგალითი ხართ, თუ როგორ უნდა დავეუფლოთ სტალინურად ახალ თანამედროვე ტექნიკას. თქვენ საფრენოსნო მუშაობისადმი დამოკიდებულების მაგალითსა და ნიმუშს წარმოადგენთ. თქვენი შესანიშნავი გადაფრენა მოგვიწოდებს საგმირო საქმეებისათვის, მოგვიწოდებს საჰაერო სტიქიის შემდგომი დაპყრობისათვის საბჭოთა ადამიანებისა და საბჭოთა ახალგაზრდობის მასების მიერ. თქვენი სისწრაფე, გამბედაობა და სურვილი — ბოლომდე შეგესრულებინათ დასახული ამოცანა აღტაცებას, სიამაყესა და კმაყოფილებას იწვევს.

საბჭოთა მფრინავებს არა მარტო შორს, სწრაფად და მაღლა ფრენა შეუძლიათ. ხასანის ტბასთან ბრძოლის დროს მათ დაგვანახვეს, რომ ასევე შეუძლიათ დაამცხრონ თავს მტრებს, რომლებიც შეეცდებიან დაარღვიონ ჩვენი საზღვრების ხელშეუხლებლობა. „დიადი სამშობლოსათვის", „სტალინისათვის" — ასეთი სიტყვებით იმარჯვებდნენ ხასანის გმირები, ასეთი სიტყვებით იმარჯვებენ გმირი მფრინავები სამყაროს სივრცეებზე.

ამაყი სტალინური შავარდნებისა და მრავალი ათასი საბჭოთა მფრინავის სახელით, სოციალიზმის დიადი ქვეყნის საჰაერო ფლოტის მეთაურთა, პოლიტიკური და ტექნიკური შემადგენლობის სახელით გილოცავთ შესანიშნავი გადაფრენის მშვიდობით დამთავრებას. სულით და გულით გილოცავთ სამშობლო დედაქალაქში დაბრუნებას.

## ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲘᲡ ᲐᲛᲮ. Ვ. Კ. ᲙᲝᲙᲘᲜᲐᲙᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

— ამხანაგებო! მთელს ჩვენს გადაფრენაში ყველაზე კარგ მომენტს წარმოადგენს ეს წუთი, როდესაც მე შესაძლებლობა მაქვს მოგესალმოთ თქვენ, მთელი საბჭოთა ხალხის წარმომადგენლებს.

მოსკოვიდან ამერიკაში გადაფრენა საბჭოთა სინამდვილის პირობებში ძნელი საქმე არ არის **(საერთო გამოცოცხლება. ტაში)**. ძნელი არ არის იმიტომ, რომ არა მარტო თავისი გრძნობებით, არა, ჩვენი სოციალისტური საზოგადოების თვითეული წევრი საქმითაც—კაპიკითაც, მანეთითაც, ხელითაც მონაწილეობას იღებს ასეთ მუშაობაში, ასეთ გადაფრენაში **(ტაში)**. ეს არის მთელი მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხის გაფრენები.

ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ ერთი-ორი კაცისათვის ძნელი არ არის ჩაჯდეს ჩვენი საბჭოთა მუშების მიერ დამზადებულ თვითმფრინავში, რომელშიაც შემოწმებულია ყოველი ხრახნი, ყოველი ქანჩი, თვითმფრინავში, რომელშიაც მთელი ფრენის განმავლობაში ერთი წუთითაც კი არა ხარ დაეჭვებული.

იმ ცნობით, რომელიც ჩვენ ამერიკიდან მოგაწოდეთ, შეგიძლიათ წარმოდგენა იქონიოთ იმის შესახებ, რომ მატერიალურ ნაწილს არ უმტყუვნია გადაფრენის მთელი დროის განმავლობაში. ეს არის საბჭოთა ხალხის წარმატებათა საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთი. ეს არის საბჭოთა ხალხის მუშაობის სტილი, ეს არის მისი მუშაობის კლასი. ასეთივე მაღალი დონით უნდა ვიმუშავოთ სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში, მრეწველობის ყოველ დარგში, ყოველგვარი მიმართულებით, რათა მთელ ჩვენს მაჩვენებლებს პირველი ადგილი ეკავოთ მსოფლიოში, რათა სოციალისტური სახელმწიფო პირველი და საუკეთესო იყოს მთელს მსოფლიოში, როგორც ეს მას შეჰფერის!

აი ამ საბჭოთა ხალხის პატივსაცემად, რომელმაც ასე იცის მუშაობა, რომელსაც შეუძლია შექმნას ახალი ცხოვრება, და საბჭოთა ხალხის ბელადის—დიდი სტალინის პატივსაცემად შევძახოთ ხმამაღალი „ვაშა!" (ტაში, შეძახილები „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!", „ვაშა!").

## ᲐᲛᲮ. Მ. Ხ. ᲒᲝᲠᲓᲘᲔᲜᲙᲝᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

— სალამი, მშობლიურ მოსკოვს—მსოფლიოს დედაქალაქს! სალამი მოსკოველებს! **(ტაში)**.

მადლობას ვუძღვნით პარტიას, მთავრობას, ამხანაგ სტალინს, ჩვენს ხალხს, ჩვენს სამშობლოს იმისათვის, რომ ისეთი მძლავრი ფრთები მოგვცეს, რომლებმაც უზარმაზარ მანძილზე გადაგვატარეს ოკეანეზე გავლით. ჩვენ მარტონი როდი მივფრინავდით, ჩვენ მთელი მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხის დახმარებას ვგრძნობდით, ჩვენ მის ნებასა და სურვილს ვასრულებდით.

ამერიკის საქმიანი წრეები ჩვენი გადაფრენისადმი უდიდეს ინტერესს იჩენდნენ გაფრენის გამოცდილების პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით. ამერიკისა და სხვა ქვეყნების ფართო საზოგადოებრიობა ჩვენ ისე გვხვდებოდა, როგორც თავიანთ მეგობრებს. გულთბილად შეგვხვდნენ უცხოეთში ჩვენი საბჭოთა კოლონიების ადამიანები, რომლებმაც გვთხოვეს გადმოგცეთ თქვენ, მოსკოველებს, მხურვალე ბოლშევიკური სალამი! (ტაში).

ჩვენი საბჭოთა ადამიანები—ეს სრულიად ახალი ადამიანები არიან; ისინი განსხვავდებიან ამერიკის კაპიტალისტური წრეების იმ ადამიანებისაგან, რომელნიც ჩვენ იქ ვნახეთ. ესენი იმ ახალი სტალინური ეპოქის ადამიანები არიან, სადაც ზრუნვა ადამიანზე უმთავრეს ზრუნვას წარმოადგენს.

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ, უძლეველ ქვეყანას!

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ არწივთა გუნდს—ავიაციას!

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადს ამხანაგ სტალინს! (ტაში, შეძახილები „ვაშა!").

## ᲨᲐᲕᲐᲠᲓᲜᲔᲑᲘ ᲨᲘᲜ ᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘᲐᲜ

დედა-სამშობლო გულში იკრავს თავის გმირებს. სტალინური ეპოქის დიდებულ სიმფონიად გაისმის საბჭოთა ხალხის მისალმება თავის საყვარელი შვილების — კოკინაკისა და გორდიენკოსადმი, — რომელთაც ბუმბერაზული ნახტომი გააკეთეს კონტინენტიდან კონტინენტზე.

ძმური მგზნებარე სალამი გმირ პატრიოტებს!

დაე, საბჭოთა ქვეყნის თვითეულმა მუშამ, თვითეულმა კოლმეურნემ, თვითეულმა ინტელიგენტმა მიჰბაძოს სტალინური შავარდნების — კოკინაკისა და გორდიენკოს მაგალითს და ისე გააკეთოს თავისი საქმე, რომ იმით ამაყობდეს საყვარელი სამშობლო, რომ მას თვით დიდმა სტალინმა უთხრას: „ჩინებულია".

ორდენოსანი მწერლები:

**ᲛᲘᲙᲝᲚᲐ ᲑᲐᲟᲐᲜᲘ, ᲘᲕᲐᲜ ᲙᲝᲩᲔᲠᲒᲐ, ᲛᲐᲥᲡᲘᲛ ᲠᲘᲚᲡᲙᲘ, ᲞᲐᲕᲚᲝ ᲢᲘᲩᲘᲜᲐ, ᲘᲣᲠᲘ ᲘᲐᲜᲝᲕᲡᲙᲘ.**

კიევი, 22 მაისი (საკდესი).

## ᲞᲐᲔᲠᲜᲐᲝᲡᲐᲜ Ა. ᲙᲝᲜᲓᲠᲐᲢᲘᲔᲕᲐᲡ 16 ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ-ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘ

სსრ კავშირის ვ. პ. ჩკალოვის სახელობის ცენტრალური აეროკლუბის საავიაციო-სასპორტო კომისიამ განიხილა ახალგაზრდა საბჭოთა ჰაერნაოსან ა. კონდრატიევას შესანიშნავი გაფრენის მასალები. ეს გაფრენა მან მოახდინა 1939 წლის 14-15 მაისს 335 კუბური მეტრი მოცულობის „სსსრ-ვრ-31" სფერული აეროსტატით.

ამხ. კონდრატიევამ ჰაერში დაჰყო 22 საათსა და 40 წუთს. მან პირდაპირი ხაზით გაიფრინა 481 კილომეტრი და 121 მეტრი.

ამ გაფრენის შედეგები დამტკიცებულია სსრ კავშირის ვ. პ. ჩკალოვის სახელობის ცენტრალური აეროკლუბის საავიაციო - სასპორტო კომისიის მიერ როგორც ხანგრძლივი ფრენის ქალთა სრულიად-საკავშირო (ნაციონალური) რეკორდები აეროსტატების ყველა რვა კატეგორიისათვის და შორფრენის რეკორდები ამავე რვა კატეგორიისათვის. ამნაირად, ა. კონდრატიევას ეკუთვნის ქალთა 16 სრულიად-საკავშირო საჰაერნაოსნო რეკორდი.

ამხ. კონდრატიევას გაფრენის მასალები და საავიაციო-სასპორტო კომისიის გადაწყვეტილება იგზავნება საერთაშორისო საავიაციო ფედერაციის (ფაი) პრეზიდიუმში, რათა გაფრენის შედეგები დამტკიცებულ იქნას როგორც საერთაშორისო რეკორდები. (საკდესი).

## ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲡᲘᲐᲛᲐᲧᲔ

დღეს ჩვენი სამშობლოსა და თვალუწვდენი ქვეყნის მთელს ხალხთან ერთად მოსკოვის სამხედრო ოლქის მებრძოლნი და მეთაურნი თავიანთ მგზნებარე საბრძოლო სალამს გითვლიან თქვენ, მამაცო სტალინურო შავარდნებო! დიდი სტალინის დავალების ბრწყინვალედ შესრულების შემდეგ თქვენი დაბრუნება მშობლიურ მოსკოვში ჩვენს გულს ავსებს სიხარულით და სიამაყით სამშობლოსთვის და მისი გმირი შვილებისათვის.

წითელი არმია, საბჭოთა ხალხი, მთელი პროგრესიული კაცობრიობა აღტაცებით ადევნებდა თვალყურს თქვენს სწრაფ გადაფრენას, რომელმაც ერთ დღე-ღამეში დააკავშირა ორი ნახევარსფერო. სკანდინავიის მთის მასივებს, გრენლანდიის სუსხიან ყინულებს და ატლანტის ოკეანის მძვინვარე სტიქიონს კაცობრიობის ისტორიაში პირველად გადაუარა საბჭოთა ფრინველმა, რომელსაც მართავდნენ საჰაერო სივრცეთა ნაცადი დამპყრობლები, ბოლშევიკები, სტალინურად გამოწრთობილი ადამიანები.

თქვენი გმირული გადაფრენა ავიაციის ისტორიაში ჩაიწერება, მას შეისწავლიან, როგორც სოციალიზმის შესანიშნავ გამარჯვებას, როგორც პირველ გადაფრენას, რომელმაც უმოკლესი საჰაერო გზით დააკავშირა მოსკოვი ჩრდილოეთ ამერიკას.

თქვენ, რომელთაც გულში აღბეჭდილი გქონდათ სტალინის სახელი, მთელი ხალხის სიყვარულით აღფრთოვანებულებმა, უშიშრად გადაატარეთ „მოსკოვის" ფრთებით საყვარელი სამშობლოს ძლიერება და დიდება უდიდეს საჰაერო სივრცეებზე.

წითელი არმია ამაყობს, რომ მის რიგებში არიან საბჭოთა კავშირის გმირები, ბრიგადის მეთაური ვ. კ. კოკინაკი და მაიორი მ. ხ. გორდიენკო. დაე, ყოველი თქვენი გადაფრენა მრისხანე გაფრთხილება იყოს სოციალიზმის ყველა მტრისათვის, რომელნიც, ბოროტი სიძულვილით შეპყრობილნი, მუდამ ფიქრობენ თავს დაესხან ჩვენს ქვეყანას. მილიონობით გმირი პატრიოტები გამოვლენ სოციალისტური სამშობლოს დასაცავად და ჰაერში, წყალზე და ხმელეთზე გაანადგურებენ მტერს იქ, საიდანაც იგი მოვა!

მოსკოვის სამხედრო ოლქის მებრძოლნი და მეთაურები, თქვენი საგმირო საქმეებით აღფრთოვანებულნი, კიდევ უფრო მეტად, კიდევ უფრო მეტი ერთსულოვნებით განამტკიცებენ თავიანთ საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებას.

წითელარმიული სალამი თქვენ, სტალინურო შავარდნებო!

მაგრად გართმევთ თქვენს ვაჟკაცურ ხელს!

**მოსკოვის სამხედრო ოლქის სარდალი საბჭოთა კავშირის მარშალი ს. მ. ᲑᲣᲓᲘᲝᲜᲘ**

**მოსკოვის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი კორპუსის კომისარი ა. ი. ᲖᲐᲞᲝᲠᲝᲟᲔᲪᲘ**

**მოსკოვის სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსი ბრიგადის კომისარი ა. ა. ᲚᲝᲑᲐᲩᲔᲕᲘ.**

## ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲡ

[illegible]

მ. კალინინი

20 მაისი—39 წ.

## ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ

15 წლის წინათ, 1924 წლის 23 მაისს, [illegible] სახელი. ამ 15 წლის მანძილზე დიდი ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციამ თავის რიგებში აღზარდა მშრომელთა მრავალი ათასეული შვილი, სოციალისტური სამშობლოს ერთგული და ღირსეული ცვლა.

რამდენმა ახალგაზრდამ, 15 წლის წინათ პიონერის ყელსახვევს რომ ატარებდა, სახელი გაითქვა ხასანის ტბაზე სამურაებთან ბრძოლაში. რამდენმა რკინის არწივებით გადალახა უზარმაზარი სივრცენი და რკინის ნავებით მისწვდა ზღვის იდუმალებით მოცულ სიღრმეს. რამდენის გულმკერდს დღეს, ნაცვლად წითელი ყელსახვევისა და წითელი ყელსახვევის გვერდითაც უკვე ამშვენებს გმირობისა და სიმამაცის წითელი ორდენი. რამდენმა უშიშარმა პიონერმა, მსგავსად პავლიკ მოროზოვისა, თავისი სიცოცხლე შესწირა ხალხის მტრებთან ბრძოლას, ლენინ-სტალინის პარტიის დიად საქმეს.

დიდი და ბრწყინვალე გზა გაიარეს ნორჩმა ლენინელებმა 15 წლის მანძილზე. წინ კიდევ უფრო ბრწყინვალე გზა არის. თუ 1924 წლის აპრილისათვის პიონერთა ორგანიზაციაში ირიცხებოდა მხოლოდ 161 ათასი პიონერი, ახლა ამ ორგანიზაციაში [illegible] ხის, ბოლშევიკების პარტიის, დიდი სტალინის მზრუნველობით გამთბარი.

დიდი სტალინის სახელით, რომელიც ფიცად მიუძღვის ცაში—მფრინავს, ბრძოლაში—მხედარს, ვაჟკაცს—ზღვასავით გაშლილ ყანაში, სწავლობს და იზრდება ჩვენი ქვეყნის პიონერთა არმიის თვითეული წევრი, თვითეული რგოლი, თვითეული რაზმი.

ეს ნორჩ ადამიანთა არმია დღეს დიდის ზეიმით ეგებება თავის სახელოვან იუბილეს. დღეს, 24 მაისს საბჭოთა ქვეყნის ყველა პიონერრაზმში აინთება კოცონი სახელოვანი 15 წლისთავის აღსანიშნავად. ამ კოცონზე პიონერები მოიტანენ თავის სიხარულს, ბედნიერი ცხოვრების სიმღერებს. ამ კოცონზე პიონერები იტყვიან, თუ როგორ მოემზადნენ ისინი გამოცდებისათვის და როგორი წარმატებით უკვე ჩააბარეს პირველი გამოცდები.

ამ კოცონზე პიონერები შეხვდებიან იმ კომკავშირელებსა და კომუნისტებს, რომლებიც ერთ დროს თვითონ ატარებდნენ პიონერის საამაყო წითელ ყელსახვევს. ისინი უამბობენ პიონერებს, თუ როგორ მუშაობდნენ მათ დროს პიონერრაზმებში, უამბობენ, თუ როგორ ასრულებენ ვ. ი. ლენინის ანდერძს: „სწავლა, სწავლა, სწავლა".

პიონერორგანიზაციისათვის ვ. ი. ლენინის სახელის მინიჭების 15 წლისთავთან დაკავშირებით საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებულ დადგენილებაში ნათქვამია, რომ სახელოვანი იუბილე უნდა ჩატარდეს პიონერთა რაზმების შემდგომი იდეური და ორგანიზაციული განმტკიცებისა და მათ მიმართ კომკავშირული ორგანიზაციების მხრით ხელმძღვანელობის გაუმჯობესების ნიშანქვეშ. 1939-40 სასწავლო წლის დასაწყისისათვის ყველა პიონერ ორგანიზაცია უზრუნველყოფილი უნდა იქნას მომზადებული ხელმძღვანელებით აქტიური კომკავშირელების რიცხვიდან. კომკავშირის ამოცანაა — სათავეში ჩაუდგეს პიონერთა რაზმების ბრძოლას სკოლაში დისციპლინის განმტკიცებას, სწავლის ხარისხის ამაღლებასა და ბავშვთა პოლიტიკური აღზრდისათვის. ამ მუშაობაში ჩაბმული უნდა იქნან საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენლები, ჩვენი ქვეყნის წარჩინებული ადამიანები.

წინ, ახალი წარმატებებისაკენ, ჩვენი ქვეყნის ნორჩო ადამიანებო!

**შ. ზვიაჩიძე**

## ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ ᲐᲜᲢᲘᲠᲔᲚᲘᲒᲘᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲖᲔ

გუშინ, 23 მაისს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებაში ამხ. **ი. თავაძესთან** შესდგა თათბირი ანტირელიგიური პროპაგანდის საკითხებზე, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გასული წლის 23 მაისის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

მოსმენილ იქნა საკ. პროფკავშირების ცენტრალური კომიტეტების წარმომადგენელთა ინფორმაციები კავშირების მუშაობაზე ანტირელიგიური პროპაგანდის დარგში.

თათბირზე გამოირკვა, რომ საკ. პროფორგანიზაციები დღემდე არადამაკმაყოფილებლად ეწევიან ანტირელიგიურ პროპაგანდას.

გაზეთები სუსტად აშუქებენ რელიგიური ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს, ნაკლებად ათავსებენ თავიანთ ფურცლებზე ანტირელიგიური ხასიათის წერილებსა და სტატიებს, არადამაკმაყოფილებლად განუმარტავენ მასებს რელიგიისა და რელიგიური ცრუმორწმუნეობის მავნებლობას.

თათბირის მუშაობა შეაჯამა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა პროპაგანდის დარგში ამხ. **ი. თავაძემ**, რომელმაც აღნიშნა პროფორგანიზაციებისა და გაზეთების სუსტი მუშაობა ანტირელიგიური პროპაგანდის წარმოების საქმეში და დასახა ღონისძიებანი შემდგომი მუშაობის გარდაქმნისათვის.

## ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲙᲠᲔᲑᲐ

23 მაისს რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში შესდგა ორჯონიკიძის სახელობის რაიონის ხელოვნების მუშაკთა კრება, რომელსაც ხუთასზე მეტი მხატვარი, კომპოზიტორი, მოქანდაკე, რეჟისორი, მსახიობი და ხელოვნების სხვა მუშაკი დაესწრო. მხურვალე ტაშით კრებამ საპატიო პრეზიდიუმში ერთხმად აირჩია საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პოლიტბიურო დიდი **სტალინის** მეთაურობით და აგრეთვე ამხანაგები **დიმიტროვი, ტელმანი, ხოზე დიასი და ჩარკვიანი.**

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის შედეგების შესახებ მოხსენება გააკეთა ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსმა ამხ. **ბ. გოგუამ.** მან აღნიშნა, რომ საბჭოთა საქართველოში ლიტერატურა და ხელოვნება უმაღლეს საფეხურზე ავიდა. საქართველოში 1.650 მსახიობია, 120 მხატვარი, 115 მწერალი, 40 კომპოზიტორი. ჩვენ გვაქვს 50 თეატრი, 46 მუსიკალური სასწავლებელი, 11 თეატრალური და ქორეოგრაფიული სკოლა, კონსერვატორია და სამხატვრო აკადემია. ამ სასწავლებლებში 13.448 მოწაფე სწავლობს.

მოხსენების შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ: ორდენოსანი რეჟისორი **შ. აღსაბაძე**, ორდენოსანი მსახიობი **ნ. ქუმსიაშვილი**, რუსთაველის თეატრის დირექტორი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი — ორდენოსანი **ა. ვასაძე**, პროფ. **დ. კაკაბაძე**, კონსერვატორიის დირექტორი **გ. კილაძე** და ორდენოსანი მხატვარი **მ. თოიძე**. ორატორებმა განაცხადეს, რომ ხელოვნების მუშაკები უპასუხებენ ყრილობის დადგენილებებს ხელოვნების შემდგომი აყვავებით და მაღალმხატვრულ ნაწარმოებებში ასახავენ სტალინური ეპოქის შესანიშნავ ცხოვრებასა და ადამიანებს.

კრებამ მოხსენების გარშემო მიიღო რეზოლუცია.

## ᲔᲠᲗᲐ ᲚᲘᲒᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲔ-105 ᲡᲔᲡᲘᲐᲖᲔ

**ჟენევა,** 23 მაისი (საკდესი). ერთა ლიგის საბჭოს პირველი ღია სხდომა შესდგა 22 მაისს საღამოს. სხდომის გახსნის შემდეგ სიტყვა მიეცა ჩინეთის დელეგატს ველინგტონ კუს.

ველინგტონ კუმ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ, თუმცა იაპონიის აგრესია ჩინეთის წინააღმდეგ შეუნელებელი სიძლიერით გრძელდება, მაგრამ ჩინეთის არმიამ უკანასკნელი ოთხი თვის განმავლობაში საშუალება არ მისცა მტერს მოეპოვებინა რამდენადმე საგრძნობი ტერიტორიული წარმატება. ჩინეთის არმიამ არაერთი გამარჯვება მოიპოვა და ამის წყალობით იაპონელთა ცდა გადაეჭრათ ჩინეთისათვის მნიშვნელოვანი ორი გზა, სრული მარცხით დამთავრდაო.

ველინგტონ კუმ საბჭოს ყურადღება მიაქცია იმ ბარბაროსულ მეთოდებს, რომელთაც იაპონიის ავიაცია იყენებს სამოქალაქო მოსახლეობის გასაჟლეტად. ჩინეთის დედაქალაქ ჩუნცინში ათასობით უმწეო მოხუცი, ქალი და ბავშვი დაიღუპა იაპონელთა ავიაციის თავდასხმის დროს. მაგრამ იაპონელთა ამ ტაქტიკამ კიდევ უფრო განამტკიცა ჩინელი ხალხის ნებისყოფა, რათა მათ შემდგომი წინააღმდეგობა გაუწიოსო.

ამასთან დაკავშირებით ველინგტონ კუმ მთელი რიგი სახელმწიფოების წარმომადგენელთა სერიოზული ყურადღება მიაქცია იმას, რომ ისინი კვლავ აწოდებენ იაპონიას თვითმფრინავებსა და საწვავ მასალას, თუმცა იაპონია ამ თვითმფრინავებს ჩინეთის სამოქალაქო მოსახლეობის მოსასპობად იყენებს.

ველინგტონ კუმ აღნიშნა, რომ იაპონელები მათ მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე ისეთ ღონისძიებებს ატარებენ, რომლებიც პირდაპირ ზიანს აყენებენ ევროპისა და სხვა სახელმწიფოთა პოლიტიკურსა და კომერციულ ინტერესებს.

კუმ წინადადება წამოაყენა, ჯერ ერთი, რომ საბჭომ დაავალოს სახელმწიფოებს—ერთა ლიგის წევრებს ფინანსიური და მატერიალური დახმარება გაუწიონ ჩინეთს, თავი შეიკავონ სამხედრო საჭურველითა და ნედლეულით, კერძოდ, თვითმფრინავებითა და სათბობი მასალით იაპონიის მომარაგებისაგან, და შეზღუდონ თავიანთ ქვეყნებში იაპონური საქონლის შეზიდვა; მეორე—შექმნან კომიტეტი, რომლის შემადგენლობაც განისაზღვრება იმ სახელმწიფოებით, რომლებიც პირდაპირ არიან დაინტერესებული შორეული აღმოსავლეთის მდგომარეობით. ასეთი კომიტეტის მიზანი იქნება შეათანხმონ ის ღონისძიებანი, რომლებიც უკვე მიღებულია ან უნდა იქნას მიღებული ზემოაღნიშნული მიმართულებით.

გარდა ამისა, ველინგტონ კუმ წინადადება შეიტანა შექმნილ იქნას საერთაშორისო კომიტეტი, რომელიც გამოიკვლევს იაპონიის ავიაციის მიერ ჩინეთის სამოქალაქო მოსახლეობის ბომბარდირების შემთხვევებს.

ჯორდანმა (ახალი ზელანდია) მხარი დაუჭირა ჩინეთის დელეგატის წინადადებებს და აღნიშნა, რომ ხალხი, რომელსაც იგი წარმოადგენს, აღტაცებულია ჩინეთის გმირული ბრძოლით.

ჰალიფაქსმა (ინგლისი) განაცხადა: მე არ შემიძლია ჩინეთის წინადადებებს მხარი დავუჭიროო. ჰალიფაქსმა სესიას მოაგონა ზოგიერთი ცალკეული კონკრეტული ღონისძიება, რომელიც მიღებული იყო ინგლისის მთავრობის მიერ ჩინეთის დასახმარებლად, და განაცხადა, რომ „იმ ღონისძიებათა შეთანხმებისათვის, რომლებიც სხვადასხვა სახელმწიფოებმა მიიღეს ჩინეთის დასახმარებლად, საჭირო პირობები არ არსებობს".

ბონე (საფრანგეთი) და კოსტა დი რელსი (ბოლივია) ჰალიფაქსის განცხადებას მიემხრნენ.

სსრ კავშირის სახელით გამოვიდა ამხ. მაისკი, რომელმაც განაცხადა, რომ მას სურს მხარი დაუჭიროს იმ წინადადებებს, რომლებიც წამოაყენა ჩინეთის დელეგატმა თავის დამარწმუნებელ და მჭერმეტყველურ სიტყვაში. ახლა ყველანი (ისინიც კი, ვინც სკეპტიკურად ეკიდებოდა ამას) სულ უფროდაუფრო აღიარებენ, რომ ერთადერთი გზა, რომელსაც შეუძლია ბოლო მოუღოს უკანონობისა და ქაოსის შემდგომ განვითარებას საერთაშორისო ურთიერთობაში, რაც აუცილებლივ იწვევს ევროპისა და მსოფლიო ომსაც კი, ეს არის აგრესიისათვის მტკიცე წინააღმდეგობის გაწევის გზა. აქედან გამომდინარეობს, რომ საჭიროა მაქსიმალურად დავუჭიროთ მხარი და დავეხმაროთ აგრესიის მსხვერპლთ. ამ აზრს ბევრი მთავრობა სულ უფროდაუფრო იზიარებს.

ჩინეთი უხეში და აშკარა აგრესიის მსხვერპლს წარმოადგენს. იგი გმირულად იბრძვის თავისი დამოუკიდებლობისათვის. ამიტომ მართალი იქნებოდა, რომ საბჭოს ჩინეთის დელეგაციის მოთხოვნები დაეკმაყოფილებინა და მაქსიმალური თანაგრძნობით განეხილა. ეს განსაკუთრებით იმ სახელმწიფოებს შეეხება, რომლებიც მხარს უჭერენ ზემოხსენებულ პრინციპს.

ველინგტონ კუმ მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს გამოთქმული თანაგრძნობისათვის და უფლება დაიტოვა შემდეგში გასცეს პასუხი საბჭოს ზოგიერთი წევრის შენიშვნებს.

ამხ. მაისკიმ სთქვა, რომ იგი მხედველობაში იღებს საბჭოში გაკეთებულ განცხადებას და საბჭოს სხვა წევრებთან ერთად განიხილავს ამ საკითხის შემდგომ მიმართულებას.

შემდეგ ჰალიფაქსმა მოკლე **ინფორმაცია** გააკეთა პალესტინის **საკითხზე** და, კერძოდ, აღნიშნა ისტორია ინგლისის მოლაპარაკებისა არაბთა და ებრაელთა მოსახლეობის წარმომადგენლებთან.

ინგლისის მთავრობამ უკვე მიიღო გადაწყვეტილება პალესტინის შესახებ, რაც განხილულ უნდა იქნას პარლამენტის მიერ.

ბონემ (საფრანგეთი) და მუნტერსმა (ლატვია, როგორც მომხსენებელი სამანდატო ტერიტორიების საკითხებზე) განაცხადეს, რომ ინგლისის წინადადებებს შეისწავლის სამანდატო ტერიტორიების საკითხებისათვის არსებული მუდმივი კომისია, რომელიც ივნისში შეიკრიბება.

შემდეგ საბჭო შეუდგა ალანდის საკითხის განხილვას. სიტყვა მიეცა ხოლსტის (ფინეთი) და სანდლერს (შვეცია). ისინი ამართლებდნენ ფინეთისა და შვეციის მთავრობათა გადაწყვეტილებას ალანდის კუნძულების განმტკიცების შესახებ, თითქოს ეს საჭირო იყოს მათი ქვეყნების ნეიტრალიტეტის დაცვისათვის.

მუნტერსის (ლატვია), კომარნიცკისა (პოლონეთი) და ჯორდანის (ახალი ზელანდია) გამოსვლის შემდეგ კამათი ალანდის საკითხზე შეწყვეტილ იქნა.

30 წელი ვ. ი. ლენინის წიგნის „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმის" გამოქვეყნებიდან

# ბოლშევიკური პარტიის თეორიული საფუძვლები

## ლენინი და ბუნებათმეცნიერება

მარქსისა და ენგელსის სიკვდილის შემდეგ ბუნებათმეცნიერებაში დიდი გარდატეხები მოხდა, შეიქმნა ელექტროდინამიკის მათემატიკური თეორია. ჰერტცმა და ბოლცმანმა გააკეთეს ეპოქალური მნიშვნელობის აღმოჩენები, ცოლ-ქმარმა კიურიმ აღმოაჩინეს რადი, პლანკმა წამოაყენა კვანტების თეორია, მეცნიერებიდან მოიხსნა მატერიის შენების მექანიკურ-მოლეკულური თეორია და წამოყენებულ იქნა ე.-წ. ელექტრონული თეორია, ალ. აინშტაინმა შექმნა ე.-წ. რელატივობის თეორია და სხვ.

მეოცე საუკუნის დასაწყისში ლენინი იყო სწორედ ის გენიალური მოაზროვნე, რომელმაც ბუნებათმეცნიერული აღმოჩენებისა და ახალი თეორიების პოზიტიური აზრი გამოიყენა მოწინავე და რევოლუციურ-ფილოსოფიური მსოფლმხედველობის დასაბუთებისა და განმტკიცებისათვის. ლენინმა თეორიების ღრმა ცოდნით და ოსტატური ანალიზით აჩვენა, რომ ფიზიკის განვითარების პოზიტიური აზრი მიდის დიალექტიკური მატერიალიზმისაკენ, რომ ხშირად ამა თუ იმ გამოჩენილ ფიზიკოსს „დიალექტიკური მატერიალიზმის ცოდნა აკლია" და ამის გამო იგი „ბუნებათმეცნიერების ერთადერთი სწორი მეთოდისა და ერთადერთი სწორი ფილოსოფიისაკენ მიდის არა პირდაპირ, არამედ მიხვეულ-მოხვეული გზით, არა შეგნებულად, არამედ სტიქიურად".

ფრ. ენგელსი თავის შრომაში — „ლუდვიგ ფეიერბახი" სწერდა, — რომ ბუნებათმეცნიერების სფეროში მომხდარ თვითეულ ეპოქალურ აღმოჩენასთან ერთად მატერიალიზმმა თავისი ფორმა უნდა გამოსცვალოს. XX საუკუნის ბუნებათმეცნიერებაში მომხდარი ძვრები სწორედ ასეთი ეპოქალური მნიშვნელობის მქონე აღმოჩენები იყო. ლენინმა, თავის „მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმში", განაზოგადა რა ამ აღმოჩენების თეორიული აზრი, ენგელსის მითითების თანახმად შესცვალა მატერიალისტური ფილოსოფიის ფორმა, ე. ი. დიალექტიკური მატერიალიზმის ფილოსოფია აიყვანა განვითარების ახალ სტადიაზე, პროლეტარიატის მსოფლმხედველობა შეაიარაღა ახალი პრინციპებით.

ლენინმა თავის შრომაში გაანადგურა ფიზიკური იდეალიზმი, აგნოსტიციზმი და ფიდეიზმის ყოველგვარი გამოვლინების ფორმა. მან ბუნებათმეცნიერება გასწმინდა იმ იდეალისტურ-მეტაფიზიკური ბალასტისაგან, რომელიც ე.-წ. ფიზიკური იდეალიზმის სახით დაუფლებოდა იმპერიალიზმის ეპოქის ბურჟუაზიულ მეცნიერულ აზროვნებას.

ლენინმა გაანადგურა იდეალიზმის გამოჩენილი ნეოკანტიანელის ჰერმან კოჰენის მიერ პირველად წამოყენებული აზრი, ვითომც უახლოესი დროის ბუნებათმეცნიერული აღმოჩენები აბათილებდნენ ბუნებათმეცნიერების მატერიალიზმთან კავშირის ტრადიციას; ლენინმა საფუძვლები გამოაცალა მახისტებისა და აგნოსტიკოსების ლაყბობას მატერიის „გაქრობის" შესახებ.

ლენინი უყოყმანოდ დადგა მატერიის შენების ელექტრო-მაგნეტურ თეორიაზე და აჩვენა, რომ თუ წინადროინდელ ფიზიკას სამყარო რამდენიმე ათეული ელემენტის ნაზავად მიაჩნდა, ახალ ფიზიკას სამყაროს შენება ორი თუ სამი ელემენტით აუხსნია, რაც იმას ნიშნავს, შენიშნავს ლენინი, რომ ბუნებათმეცნიერების განვითარებას მატერიის მთლიანობისაკენ მივყევართ.

ლენინმა აჩვენა, რომ ფიზიკის განვითარებამ შესცვალა ფიზიკოსის წარმოდგენა მატერიაზე, თუ წინადროინდელ ფიზიკოსებს იგი მექანიკურად მოლეკულის სახით ჰქონდათ წარმოდგენილი, ახალმა ფიზიკამ შესცვალა ეს შეხედულება და მატერიის სუბსტანციონალური დასაბამი ელექტრონში დაინახა, ლენინმა დაამტკიცა, რომ ეს მატერიის გაქრობას კი არ ნიშნავს, არამედ „გაქრობას" ცოდნის იმ იარაღისა, რომელიც ფიზიკის მეცნიერებას აქამდე გააჩნდა, და ახალი უფრო ზუსტი და მკაცრი იარაღის გამოჭედვას. ამ იარაღით კვლევისას— გვასწავლის ლენინი — ჰქრებიან მატერიის ისეთი თვისებანი, რომლებიც წინათ აბსოლუტური, უცვლელი და პირველადი გვეგონა, და ჩნდებიან მატერიის ახალი თვისებანი, მაგრამ მატერიის ის „თვისება", რომელიც მის ფილოსოფიურ რაობას განსაზღვრავს, უცვლელი რჩება.

ლენინმა აჩვენა, რომ მატერიის ბუნებათმეცნიერული გაგება, რარიგ არ შეიცვალოს ფილოსოფიურად, მატერია მაინც იქნება ის რეალობა, რომელიც ობიექტურად არსებობს; ლენინმა საბოლოოდ გამიჯნა ერთმანეთისაგან მატერიის ფილოსოფიური და ფიზიკური გაგება. ფიზიკური იდეალიზმის მომხრეებმა და მათმა ამყოლებმა კი ეს ორი გარემოება ერთმანეთში აურიეს და ამიტომ მეცნიერებაში ერთი თეორიის მეორე თეორიით შეცვლა „მატერიის გაქრობად" გაასაღეს. ლენინმა ნათელჰყო ფიზიკური იდეალიზმის მეცნიერული უსუსურობა და დაამტკიცა, რომ მისი სპეკულაციები მეცნიერების განვითარების მიერ დასმული პრობლემებით კი არ იყო გამოწვეული, არამედ შედეგი იყო იმპერიალიზმის ეპოქაში ბურჟუაზიული ფილოსოფიური აზროვნების უკიდურესად გარეაქციონერებისა.

ამრიგად, ლენინმა, უდიდესი ოსტატობით განაზოგადა რა მიღწევები თავისი ეპოქის ბუნებათმეცნიერებისა, გამოიყენა იგი ენგელსის მიერ დასმული ამოცანის გადასაწყვეტად, ე. ი. მატერიალისტური ფილოსოფიის განვითარებისა და გაღრმავებისათვის.

არა სხვა ვინმემ, არამედ თვითონ დიდმა სტალინმა მიუთითა პირველად ლენინის „მატერიალიზმისა და ემპირიოკრიტიციზმის" უდიდეს მნიშვნელობაზე. „ლენინიზმის საკითხებში" ამის შესახებ სტალინი სწერს: „იმ მაღალი მნიშვნელობის ყველაზე უფრო მკვეთრ გამოხატულებად, რომელსაც ლენინი თეორიას აკუთვნებდა, შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ სწორედ ლენინმა და არა სხვა ვინმემ მოჰკიდა ხელი უაღრესად სერიოზული ამოცანის შესრულებას — მეცნიერების მიერ ენგელსიდან ლენინამდე მოპოვებულ უმნიშვნელოვანეს მიღწევათა განზოგადებას მატერიალისტურ ფილოსოფიაში"...[1])

**პროფ. მოსე გოგიბერიძე.**

[1]) ი. სტალინი — „ლენინიზმის საკითხები", გვ. 22.



ვ. ი. ლენინი პარტიის მეორე ყრილობის პერიოდში.




ვ. ი. ლენინის წიგნის „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი" პირველი გამოცემის (1909 წ.) გარეკანი.

„ბოლშევიკებს უნდოდათ შეექმნათ ახალი, ბოლშევიკური პარტია, რომელსაც შეეძლებოდა ყოფილიყო ნიმუში ყველასთვის, ვისაც უნდოდა ჰყოლოდა ნამდვილი რევოლუციური მარქსისტული პარტია. ბოლშევიკები ასეთ პარტიას ამზადებდნენ უკვე ძველი „ისკრის" დროიდან. ისინი მას ამზადებდნენ შეუპოვრად, დაჟინებით, ყველაფრის მიუხედავად. ამ მოსამზადებელ მუშაობაში ძირითადი და გადამწყვეტი როლი ითამაშეს ლენინის ისეთმა შრომებმა, როგორიცაა „რა ვაკეთოთ?", „ორი ტაქტიკა" და ა. შ. ლენინის წიგნი „რა ვაკეთოთ?" იყო ასეთი პარტიის იდეოლოგიური მომზადება. ლენინის წიგნი „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან" იყო ასეთი პარტიის ორგანიზაციული მომზადება. ლენინის წიგნი „სოციალ - დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში" იყო ასეთი პარტიის პოლიტიკური მომზადება. ბოლოს, ლენინის წიგნი „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი" იყო ასეთი პარტიის თეორიული მომზადება".

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორია" გვ. 172

## ყოველი მეცნიერის განუყრელი თანამგზავრი

ლენინის „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი" შედის მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკურ ნაწარმოებთა ოქროს ფონდში. ამ შრომაში მოხდენილია ღრმა ფილოსოფიური შეფასება კერძოდ თანამედროვე ფიზიკის მდგომარეობისა. ის არის საუკეთესო კომპასი იმ რთულ ლაბირინტში ორიენტაციისათვის, რომელსაც დღევანდელი ფიზიკა წარმოადგენს. ლენინმა გვიჩვენა აქ დიალექტიკური მატერიალიზმის მეთოდი მოქმედებაში, გვიჩვენა, თუ როგორ უნდა იყოს ის გამოყენებული საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კონკრეტულ მასალაზე.

ლენინმა გვიჩვენა, რომ თანამედროვე ფიზიკის მსვლელობა მიმდინარეობს არა მატერიის გაუქმების ნიშნის ქვეშ, არამედ, პირიქით, ხელს უწყობს მატერიის შესახებ უფრო სწორ და ფართო შეხედულების შემუშავებას. ახალმა ფიზიკამ გამოარკვია, რომ მთელი რიგი თვისებები, რომელთაც წინათ განუყრელად უკავშირებდნენ მატერიას, მიეკუთვნება მას მხოლოდ გარკვეულ პირობებში. ამ მხრივ იხსნება ზედმეტი შეზღუდვები და მატერიის ცნება ხდება კიდევ უფრო მრავალმხრივი და ელასტიური.

ლენინის შრომას დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მათემატიკის ფილოსოფიის საკითხებზე სწორი შეხედულებების შემუშავებისათვის და მათემატიკურ იდეალიზმთან ბრძოლისათვის. ლენინის საბუთები, მიმართული ფიზიკური იდეალიზმის წინააღმდეგ ურტყამენ აგრეთვე იდეალისტურ შეხედულებებს მათემატიკის შესახებ, რომლების მიხედვით მათემატიკა იკვლევს არა სინამდვილის გარკვეულ მხარეს, არამედ წარმოადგენს მხოლოდ სუბიექტის თავისუფალ „შემოქმედებას". მათემატიკის ფილოსოფიის მთელი რიგი საკითხებისათვის (პრაქტიკის მნიშვნელობა მათემატიკისათვის, მათემატიკის საგანი, მათემატიკური აბსტრაქციის ხასიათი, არსებობის საკითხი მათემატიკაში, ფორმალური მომენტების მნიშვნელობა მათემატიკაში, პრობლემა ზოგადისა და კერძოსი მათემატიკაში და სხვ.) ლენინის „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი" და აგრეთვე მისი სხვა ფილოსოფიური ნაშრომები, კერძოდ მისი კონსპექტები ჰეგელის „ლოგიკის მეცნიერებისა", არისტოტელეს „მეტაფიზიკისა" და სხვ. მტკიცე ფილოსოფიურ დასაყრდენს წარმოადგენს. „მატერიალიზმს და ემპირიოკრიტიციზმს" უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ისეთ მეცნიერ მუშაკთათვის, რომელნიც სპეციალურად იკვლევენ მაგალითად მათემატიკის ან ფიზიკის ფილოსოფიის საკითხებს, არამედ საერთოდ მეცნიერ მუშაკთა მთელი მასისათვის. საბჭოთა მეცნიერი არ უნდა დაემსგავსოს ვიწრო ინტერესებით შემოფარგლულ პედანტს, ის უნდა იყოს ფართოდ განათლებული ადამიანი, მკაფიო მსოფლმხედველობის მატარებელი, კარგად შეიარაღებული დიალექტიკური მატერიალიზმის თეორიით. ამას მოითხოვს თვით მისი სპეციალური კვლევა-ძიების ინტერესიც. ამხანაგი სტალინი პარტიის XVIII ყრილობაზე ამბობდა:

„... არ შეიძლება მივიჩნიოთ ნამდვილ ლენინელად კაცი, რომელიც თავისთავს ლენინელს უწოდებს, მაგრამ ჩაკეტილია თავის სპეციალობაში, ჩაკეტილია, ვთქვათ, მათემატიკაში, ბოტანიკასა ან ქიმიაში და თავისი სპეციალობის იქით ვერაფერს ხედავს". მოწინავე საბჭოთა მეცნიერება განუყრელად დაკავშირებულია მარქსიზმ-ლენინიზმის ფილოსოფიასთან. მარქსისტულ-ლენინური ლიტერატურის კლასიკური ნაწარმოები — ლენინის „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი" ყოველი საბჭოთა მეცნიერის მუშაობის განუყრელი თანამგზავრი უნდა იყოს.

**პროფ. ლ. გოკიელი.**

## ფილოსოფიის პარტიულობა

ლენინი თავის უკვდავ შრომაში — „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი" იცავს და ანვითარებს მოძღვრებას მეცნიერების, ფილოსოფიის პარტიულობის შესახებ. ლენინი მეცნიერული აზროვნების ყოველ სფეროში გამოდიოდა, როგორც პროლეტარიატის ბელადი, როგორც პარტიული. სასტიკად აკრიტიკებდა ყველა იმათ, ვინც მეცნიერებაში საშუალო ხაზს ეძებდა, ვინც ცდილობდა იდეალიზმისა და მატერიალიზმის „შერიგებას"; მახს, ავენარიუსს და მათ მიმდევრებს თავი მოჰქონდათ თავიანთი უპარტიობით, აცხადებდნენ, რომ ისინი ყოველგვარ იდეალიზმსა და მატერიალიზმზე მაღლა დგანან.

ლენინი მისთვის ჩვეული ენერგიით იბრძოდა ფილოსოფიის პარტიულობისათვის, ნეიტრალური ხაზის წინააღმდეგ ფილოსოფიაში. ან ბოლომდე თანმიმდევარი მატერიალიზმი, ან ფილოსოფიური იდეალიზმის არევ-დარევა — ასე კატეგორიულად აყენებს ლენინი საკითხს, საშუალო ხაზი არ არსებობს. „უახლესი ფილოსოფია ისევე პარტიულია, როგორც ორი ათასი წლის წინათ"[1]),—სწერს ლენინი.

რომ ყოველი მეცნიერება პარტიულია, ამის საილუსტრაციოდ ლენინს მოჰყავს გამოჩენილი ბუნებისმეტყველის ჰეკელისადმი დამოკიდებულების საკითხი. ოფიციალურმა მეცნიერებამ, ბურჟუაზიის ლაქიებმა აშკარა ბრძოლა გამოუცხადეს ჰეკელის მატერიალისტურ მსჯელობებს. იცემოდა უხამსი შავრაზმული ბროშურები და წიგნები ჰეკელის წინააღმდეგ, „არ არსებობს ისეთი ლანძღვა-გინება, რომლითაც მას არ გამასპინძლებოდენ ფილოსოფიის სახაზინო პროფესორები". [2])

ლენინი გვასწავლის დავინახოთ ფილოსოფიურ სისტემებს იქით პარტიათა ბრძოლა ფილოსოფიაში, „ბრძოლა, რომელიც საბოლოო ანგარიშში თანამედროვე საზოგადოების მტრულად განწყობილი კლასების ტენდენციებს და იდეოლოგიას გამოჰხატავს".[3])

მარქსიზმის მტრები მოძღვრებას ფილოსოფიის პარტიულობის შესახებ უპირისპირებდნენ მეტად უსუსურ მოსაზრებებს. ისინი ჰქადაგებდნენ, თითქოს ფილოსოფიის პარტიულობა ეწინააღმდეგება მის (ფილოსოფიის) ობიექტიურობას. სადაც მეცნიერება პარტიულია, იქ არ შეიძლება ნამდვილი მეცნიერება იყოს, — ასეთია მათი „საბუთი".

ლენინმა გაანადგურა ასეთი მოსაზრებების უნიადაგობა და აჩვენა, რომ პროლეტარიატის ფილოსოფია — მარქსის მატერიალიზმი წარმოადგენს პარტიულ და ამავე დროს ყველაზე ნამდვილ ობიექტურ მეცნიერებას. მარქსიზმ-ლენინიზმი წარმოადგენს იმ კლასის მსოფლმხედველობას, რომელიც გამოჰხატავს ისტორიის პროგრესიულ განვითარებას.

კ. მარქსი სწერდა, რომ როცა გაგებულია საგანთა კავშირი, ინგრევა ყოველგვარი თეორიული რწმენა კაპიტალისტური წესების მუდმივობის შესახებ, ინგრევა იმაზე ადრე, ვიდრე ეს არსებული წესები პრაქტიკულად დაინგრეოდნენ. სწორედ ამიტომ ბურჟუაზიულ მეცნიერებას არ შეუძლია აღმოაჩინოს განვითარების ნამდვილი კანონები, საგანთა კავშირი და ამდენად იყოს ობიექტური მეცნიერება. თავის აყვავების და გაფურჩქვნის პირველ ხანებშიაც კი, როცა ბურჟუაზია ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში პროგრესიულ მოვლენას წარმოადგენდა, ბურჟუაზიული მეცნიერება იძულებული იყო კერძო საკუთრება გამოეცხადებინა მარადიულ კატეგორიად.

კაპიტალიზმის განვითარების უკანასკნელ სტადიაში, იმპერიალიზმის სტადიაში, ოფიციალური, ბურჟუაზიული მეცნიერება ჰკარგავს ყოველგვარ ობიექტიურობას.

ფაშიზმი ეს არის აშკარა, ცინიკური უარყოფა მეცნიერების ობიექტურობისა, ჭეშმარიტებისა; ფაშისტურ ქვეყნებში ბატონობს სიცრუე და პროვოკაცია. „ჩვენ ლიბერალური, ობიექტიური მეცნიერება არ გვინდა", — ცინიკურად აცხადებს ჰებელსი. „მეცნიერები უნდა გახდნენ „მესამე იმპერიის" სულიერი ჯარისკაცები" — ასეთია ფაშიზმის „პროგრამა" მეცნიერებაში.

მხოლოდ გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში შეიქმნა შესაძლებელი ნამდვილი, სახალხო მეცნიერების განვითარება. ჩვენში ვითარდება ისეთი მეცნიერება, რომელიც ემსახურება ხალხს, მის ინტერესებს, მეცნიერება, „რომელსაც შესწევს მამაცობა, გამბედაობა დაამსხვრიოს ძველი ტრადიციები, ნორმები, მიზანდასახულობანი, როდესაც ისინი მოძველებული ხდებიან, როდესაც ისინი წინსვლის მუხრუჭად იქცევიან, და რომელსაც შესწევს უნარი შექმნას ახალი ტრადიციები, ახალი ნორმები, ახალი მიზანდასახულობანი". [4])

მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების გამოხატულებას ფილოსოფიის პარტიულობის შესახებ წარმოადგენს თეორიის და პრაქტიკის ერთიანობა. ლენინ-სტალინის პარტია, დიდი სტალინი გვასწავლის, რომ პრაქტიკა ბრმაა, თუ ის გზას არ ინათებს თეორიით, ასევე თეორია უსაგნოა პრაქტიკის გარეშე. ბოლშევიკთა პარტიის სიტყვა არასოდეს არ შორდება საქმეს და ეს წარმოადგენს ბოლშევიკური პარტიულობის უმაღლეს პრინციპს.

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორია", რომლის შემქმნელი და სულის ჩამდგმელია ხალხთა ბელადი დიდი სტალინი, გვასწავლის პრინციპულობას, პარტიულობას თეორიაში, პარტიულობას ფილოსოფიაში. მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება ფილოსოფიის პარტიულობის შესახებ გვასწავლის თავდადებულ ბრძოლას ლენინ-სტალინის დიადი პარტიისათვის, მისი თეორიული საფუძვლების სიწმინდისათვის. მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება თეორიის, ფილოსოფიის პარტიულობის შესახებ, რომელიც ასე ბრწყინვალედ დაიცვეს და განავითარეს ლენინმა და სტალინმა, წარმოადგენს მძლავრ იარაღს მუშათა კლასის ხელში კომუნიზმისათვის ბრძოლაში.

**კ. აქბარდია.**

[1]) ვ. ი. ლენინი — „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი" გვერდი 364.
[2]) იქვე, გვ. 355.
[3]) იქვე, გვ. 364.

[4]) ი. ბ. სტალინი—უმაღლესი სკოლის მუშაკთა მიღებაზე კრემლში 1938 წ. 17 მაისს წარმოთქმულ სიტყვიდან.

**ა. ქუთელია**

## ბოლშევიკური ფილოსოფიის გენიალური ნაწარმოები

ოცდაათი წლის წინათ, 1909 წლის მაისში გამოქვეყნდა ვ. ი. ლენინის გენიალური ნაშრომი „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი". ამ ნაშრომით აღინიშნა ახალი, უმაღლესი ეტაპი ბოლშევიკური პარტიის თეორიული საფუძვლების — დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის განვითარებაში. ლენინმა დაამთავრა ის 1908 წლის შემოდგომაზე. წერილში თავისი დისადმი, ანნა ილიას-ასულისადმი, რომელიც ხელმძღვანელობდა წიგნის გამოცემას (წიგნი რუსეთში იბეჭდებოდა), ლენინი 1909 წ. 8 აპრილს (26 მარტს) პარიზიდან სწერდა „ჩემთვის **უაღრესად** მნიშვნელოვანია, რომ წიგნი რაც შეიძლება ჩქარა გამოვიდეს. მის გამოსვლასთან მე დაკავშირებული მაქვს არა მარტო ლიტერატურული, არამედ სერიოზული პოლიტიკური ვალდებულებებიც".

ეს მთლიანად განპირობებული იყო შექმნილი პოლიტიკური და იდეოლოგიური მდგომარეობით. 1905 წლის რევოლუციის დამარცხებამ და კონტრრევოლუციის გააფთრებულმა შემოტევამ დაშლა და რღვევა წარმოშვა რევოლუციის თანამგზავრებში, უმთავრესად ინტელიგენციაში. თანამგზავრნი დიდი რაოდენობით შორდებოდნენ რევოლუციას.

რევოლუციის განადგურება მარტო ფიზიკური ძალით, მარტო ჯოხითა და მათრახით, სახრჩობელებითა და საპყრობილეებით მაინც შეუძლებელი იყო. საჭირო იყო კიდევ სულიერი, იდეოლოგიური მათრახი. კონტრრევოლუცია აქაც შეტევაზე გადმოდის, — „გაჩნდა მთელი ხროვა მოდური მწერლებისა, რომლებიც „აკრიტიკებდნენ" და „აცამტვერებდნენ" მარქსიზმს, ტალახში სვრიდნენ რევოლუციას, დასცინოდნენ მას, ხოტბას ასხამდნენ გამცემლობას, ხოტბას ასხამდნენ სქესობრივ გარყვნილებას ვითომდა „პიროვნების კულტისათვის". [1])

დაცემულობის, რევოლუციის პერსპექტივებისადმი რწმენის უქონლობის დამპალი სულისკვეთება ედება პარტიული ინტელიგენტების ერთ ნაწილსაც, რომლებიც თუმცა მარქსისტებად სთვლიდნენ თავს, მაგრამ არასოდის მტკიცედ არ მდგარან მის პოზიციებზე. მათი მეთაურები იყვნენ ბოგდანოვი, ბაზაროვი, ლუნაჩარსკი, რომლებიც 1905 წელს რევოლუციის დროს ბოლშევიკებს ემხრობოდნენ, და მენშევიკები იუშკევიჩი და ვალენტინოვი. ისინი ჰქადაგებდნენ მახიზმს სხვადასხვა ვარიაციებით და „აკრიტიკებდნენ" როგორც დიალექტიკურ, ისე ისტორიულ მატერიალიზმს. ისინი ცდილობდნენ შეეცვალნათ მარქსიზმის ფილოსოფია მახისა და ავენარიუსის სუბიექტიური იდეალიზმით. გამოდიოდა რა მახიზმიდან, ზოგიერთი მათგანი, მაგალითად, ლუნაჩარსკი შეუდგა პირდაპირ ხუცობის, „ღვთისმშენებლობის" იდეის ქადაგებას.

ამასთან — და ეს განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს,—აშკარად მტრულად განწყობილი იყვნენ რა მარქსიზმისადმი და ცდილობდნენ რა ძირი გამოეთხარათ მისი თეორიული საფუძვლებისათვის, ისინი თვალთმაქცურად და ორგულურად თავს ასაღებდნენ მარქსიზმის დამცველებად და ყოველნაირად უარჰყოფდნენ თავის მტრულ განწყობილებას. ისინი მარქსიზმის „გაუმჯობესებად" ასაღებდნენ თავის ღალატს მარქსიზმისადმი. ამაში მდგომარეობდა ამ „კრიტიკის" თავისებურება და მისი საფრთხე.

მარქსისტების წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით დაისახა ამოცანა ჩამოეგლიჯათ ნიღაბი ორგულებისა და გადაგვარებულებისათვის, გამოეაშკარავებინათ მათი რაობა და ამ გააფთრებულ ბრძოლაში დაეცვათ მარქსისტული პარტიის თეორიული საფუძვლები.

თითქოს მოსალოდნელი იყო, რომ ამ ამოცანის შესრულებას ხელს მოჰკიდებდნენ პლეხანოვი და მისი მენშევიკი მეგობრები, რომლებიც თავის-თავს „მარქსიზმის ცნობილ თეორეტიკოსებად" ასაღებდნენ. მაგრამ მათ სერიოზულად არც კი მოუკიდნიათ ამისთვის ხელი. მათ, როგორც შესანიშნავად არის ნათქვამი საკ. კ. პ. (ბ) ისტორიაში, „ამჯობინეს დაკმაყოფილებულიყვნენ ფელეტონურ-კრიტიკული ხასიათის ორიოდე უმნიშვნელო სტატიის დაწერით და შემდეგ ბუჩქებში მიმალულიყვნენ". ამასთანავე პლეხანოვის კრიტიკას, მის მენშევიკ მეგობრებზე რომ აღარ ვილაპარაკოთ, ახასიათებდა არსებითი ნაკლოვანებანი, რომელნიც გამოააშკარავა ლენინმა თავის წიგნში.

ყოველივე ეს აუცილებელს ხდიდა ლენინურ კრიტიკას. ლენინმა შეასრულა ეს თავის გენიალურ ნაშრომში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი". ლენინმა ზღვარული სიცხადით და გამანადგურებელი ძალით გამოააშკარავა ბოგდანოვის, ბაზაროვის, იუშკევიჩისა და ვალენტინოვის ნამდვილი რევიზიონისტული სახე. მან ცხადჰყო, რომ ის მოძღვრება, რომელსაც ისინი მარქსიზმად ასაღებდნენ, სხვა არა არის რა, თუ არა ე. მახისა და რ. ავენარიუსის და მათი ფილოსოფიური წინაპრების — ეპისკოპოს ბერკლისა და აგნოსტიკოს იუმის რეაქციული, სუბიექტიურ-იდეალისტური ფილოსოფიის გადაღეჭვა. მაგრამ ამით როდი განისაზღვრება ლენინის ნაშრომის მნიშვნელობა. მას საერთაშორისო მნიშვნელობაც აქვს. „ჩვენს"... ფილოსოფიურ დავას აქვს არა მარტო განსაზღვრული, ე. ი. რუსული მნიშვნელობა, —სწერდა ლენინი, — ევროპამ მოგვცა მასალა ფილოსოფიური აზროვნების „გადახალისებისათვის", ხოლო ჩამორჩენილი რუსეთი 1908-1910 წ. წ. იძულებული მიწყნარების დროს განსაკუთრებით „ხარბად" წაეტანა ამ მასალას". [2])

და აი ლენინმა თავის „მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმში" მარქსიზმის მტრების განადგურებასთან და მისი ფილოსოფიის დაცვასთან ერთად მატერიალისტურად განაზოგადა მეცნიერების, პირველ რიგში ბუნებისმეტყველების უმნიშვნელოვანესი მიღწევები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ენგელსის სიკვდილის შემდეგ და განავითარა მარქსიზმის თეორიული საფუძვლები — დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი. ამაშია ლენინის წიგნის საერთაშორისო მნიშვნელობა. ამხანაგმა სტალინმა ასეთი შესანიშნავი სიტყვებით განსაზღვრა 1924 წელს ლენინის წიგნის მნიშვნელობა: „... იმ მაღალი მნიშვნელობის ყველაზე უფრო მკვეთრ გამოხატულებად, რომელსაც ლენინი თეორიას აკუთვნებდა, შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ სწორედ ლენინმა და არა სხვა ვინმემ მოჰკიდა ხელი უაღრესად სერიოზული ამოცანის შესრულებას—მეცნიერების მიერ ენგელსიდან ლენინამდე მოპოვებულ უმნიშვნელოვანეს მიღწევათა განზოგადებას მატერიალისტურ ფილოსოფიაში და მარქსისტთა შორის არსებულ ანტიმატერიალისტურ მიმდინარეობათა ყოველმხრივ კრიტიკას. ენგელსი ამბობდა: „მატერიალიზმს ყოველი ახალი დიდი აღმოჩენის შემდეგ ახალი სახის მიღება უხდება". ცნობილია, რომ ეს ამოცანა თავის დროისათვის შეასრულა სწორედ ლენინმა თავის შესანიშნავ წიგნში: „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი". [3])

„მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი" ნიმუშია პარტიულობისა და პრინციპულობისა თეორიაში, ფილოსოფიაში. ის შემოქმედებითი მარქსიზმის ნიმუშია. ფილოსოფიის პარტიულობის საკითხს ლენინი აყალიბებს როგორც ფილოსოფიის მთელი ისტორიის საერთო კანონს. ფილოსოფიის ურთიერთშორის მებრძოლ პარტიებს წარმოადგენენ მატერიალიზმი და იდეალიზმი. „უახლესი ფილოსოფია ისევე პარტიულია, — სწერს ლენინი, — როგორც ორი ათასი წლის წინათ".[4])

ლენინმა დაგვანახვა, რომ მახისტები მთლიანად დგანან სუბიექტური იდეალიზმის პოზიციებზე. ეფარებოდნენ რა „უპარტიობას", ისინი გამოდიოდნენ როგორც მარქსიზმის შეურიგებელი მტრები.

გამოარკვია რა მახიზმის ფილოსოფიური წინაპრები ლენინი დეტალურად აკრიტიკებს ამ სუბიექტიური იდეალისტური ფილოსოფიის საფუძვლებს და უპირისპირებს მათ დიალექტიკური მატერიალიზმის პრინციპებს. ლენინმა მთელი სიღრმითა და ძლიერებით გამოარკვია ემპირიოკრიტიკოსთა გნოსეოლოგიის მთლიანი რეაქციულობა. ამასთან ერთად ლენინი იძლევა მარქსიზმის გნოსეოლოგიის ყველა ძირითადი საკითხების გენიალურ დამუშავებასა და შემდგომ განვითარებას.

თავის უმნიშვნელოვანეს გნოსეოლოგიურ დასკვნებს ლენინი აყალიბებს შემდეგი დებულებებით: პირველი — გარესამყაროს არსებობა დამოუკიდებლად ცნობიერებისა და მისი ასახვისა ადამიანის შეგნებაში. შეგრძნებანი, როგორც შემეცნების წყარო წარმოადგენენ ობიექტიური მატერიალური სამყაროს ანარეკლს, ანაბეჭდს, ასლს. მეორე — „მოვლენასა და თავისთავად ნივთს შორის სრულიად არავითარი პრინციპული განსხვავება არ არის და არც შეიძლება იყოს. განსხვავება მხოლოდ იმათ შორის, რაც შეცნობილია და რაც ჯერ კიდევ არ არის შეცნობილი..." მესამე — შემეცნება არის პროცესი. მას უნდა მიუდგე, ისევე როგორც სხვა მეცნიერებებს, დიალექტიკურად. „მზამზარეულად და უცვლელად კი არ ვიგულისხმოთ ჩვენი შემეცნება, არამედ გავარჩიოთ, როგორ წარმოიშვება **არცოდნისაგან ცოდნა**, როგორ ხდება არასრული, არაზუსტი ცოდნა უფრო სრულად და უფრო ზუსტად".[5])

მარქსისტული გნოსეოლოგიის უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს ჭეშმარიტების საკითხი, მოძღვრება ობიექტიური, აბსოლუტური და შედარებითი ჭეშმარიტების შესახებ. ლენინმა ცხადჰყო, რომ ბოგდანოვის მიერ ობიექტიური ჭეშმარიტების უარყოფა, ჭეშმარიტებისა, რომელიც დამოკიდებული არ არის ადამიანის შეგნებაზე, აგნოსტიციზმი და სუბიექტივიზმია, მახისა და ავენარიუსის ძირითადი იდეალისტური პრინციპიდან გამომდინარე.

საჭირო იყო ჩვენება, რომ, ჯერ-ერთი, ბუნებისმეტყველების ნამდვილად მეცნიერული აღმოჩენანი, რომლებსაც ადგილი ჰქონდა XIX საუკუნის დამლევს და XX საუკუნის დამდეგს ძირიანად ეწინააღმდეგებოდა მახიზმის იდეალისტურ და მეტაფიზიკურ პრინციპებს და არ აძლევდა ამ სკოლას სრულიად არავითარ საფუძველს გამოსულიყო ამ მიღწევების სახელით. მეორეც, — საჭირო იყო კრიზისის დედაარსისა და მისი წარმომშობი მიზეზების გამოაშკარავება და იმის ჩვენება, რომ მახიზმი დაკავშირებულია მხოლოდ ერთ ახალ სკოლასთან ბუნებისმეტყველების დარგში, ეგრეთწოდებულ „ფიზიკურ იდეალიზმთან", რომელმაც ვერ გაიგო ბუნების მეტყველებაში მომხდარი რევოლუციის დედაარსი და გამოიყვანა იქიდან იდეალისტური რეაქციული დასკვნები. მახიზმის გაკრიტიკება ბუნებისმეტყველების კრიზისთან მისი კავშირის გათვალისწინების გარეშე, როგორც ამას პლეხანოვი ჩადიოდა, მოასწავებდა „დაცინვას დიალექტიკური მატერიალიზმის სულზე".

ლენინმა გენიალური ანალიზით გამოააშკარავა ბუნებისმეტყველების კრიზისის დედაარსი და მიზეზები. დაგვანახვა ფიზიკაში იდეალიზმის შეჭრის მიზეზები და გამოააშკარავა „ფიზიკური იდეალიზმის" დედაარსი. როგორც ლენინმა დაგვანახვა, ფიზიკოსი მახი თავის ფილოსოფიურ ქანაობაში მეტად დაშორდა თანამედროვე ბუნებისმეტყველებას. მახისტები იდეალიზმისკენ, რეაქციისკენ დაექანენ. ლენინმა დაგვანახვა გზები ბუნებისმეტყველების გამოსვლისა კრიზისიდან და მისი შემდგომი განვითარებისა.

მახისტებმა დიალექტიკური მატერიალიზმის კრიტიკასთან ერთად ისტორიული მატერიალიზმის კრიტიკაც გააჩაღეს.

მახისა და ავენარიუსის ერთგული ბოგდანოვი ცდილობდა ისტორიული მატერიალიზმის შეცვლას სუბიექტიური იდეალიზმით. ის აიგივებდა საზოგადოებრივ ყოფიერებასა და საზოგადოებრივ ცნობიერებას. ეს ნამდვილი იდეალიზმია.

ამხანაგი სტალინი 1906-1907 წ. წ. ამიერ-კავკასიაში მარქსიზმის დაუძინებელი მტრების ანარქისტ-კროპოტკინელების მოზღვავებასთან და მათ აქტიურ საქმიანობასთან დაკავშირებით გამოდის ფილოსოფიური სტატიების სერიებით, რომლებიც გაერთიანებული იყო საერთო სათაურით „ანარქიზმი თუ სოციალიზმი". ამხანაგი სტალინი გამანადგურებელ ლახვარს სცემს ანარქისტებს და მარქსიზმის სხვა მტერთა იდეალისტურ ნაწერებს. ეს გენიალური ნაშრომი, რომელიც ეხება დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის ყველა ძირითად პრობლემას, მარქსიზმის თეორიული საფუძვლების დაცვასთან ერთად წარმოადგენს მის შემდგომ განვითარებას.

მახიზმი, როგორც ლენინმა დაგვანახა, ლიკვიდატორობის მეთოდოლოგია იყო. „მატერიალიზმმა და ემპირიოკრიტიციზმმა" უდიდესი როლი ითამაშა ბოლშევიკების გამარჯვებაში მენშევიკებზე, ლიკვიდატორებსა და ოტზოვისტებზე. ლენინის წიგნი **თეორიული** მომზადება იყო ბოლშევიკების დიადი პარტიისა, ახალი ტიპის პარტიისა.

ოცდაათი წელიწადი გავიდა ლენინის გენიალური ნაშრომის გამოსვლის დღიდან. ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით სოციალიზმმა გაიმარჯვა ჩვენს ქვეყანაში. სოციალიზმის ქვეყანა მეთაურობს მთელ პროგრესიულ კაცობრიობას და მოწინავე მეცნიერებას ფაშისტური ბნელეთისმოციქულობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ლენინის გენიალური წიგნი დაუშრეტელ წყაროს იძლევა ამ ბრძოლისათვის.

[1]) „საკ. კ. პ. (ბ) ისტორია", გვერდი 122.

[2]) ლენინი, თხზ. ტ. XV, რუსული გამოცემა, გვ. 89.
[3]) ი. სტალინი, „ლენინიზმის საკითხები", გვ. 22.

[4]) ლენინი, თხზ. ტ. XIII, რუსული გამოცემა, გვ. 292.
[5]) იქვე, გვ. 84.

## გაიხსნა ერთა ლიგის საბჭოს მე-105 სესია

**ჟენევა**, 22 მაისი (საკდესი). დღეს ჟენევის დროით 12 საათსა და 30 წუთზე გაიხსნა ერთა ლიგის საბჭოს მე-105 სესია. სესიას თავმჯდომარეობს სსრ კავშირის წარმომადგენელი ამხ. მაისკი.

საბჭოს პირველი სხდომა დახურული იყო. ოფიციალური ანგარიშის თანახმად, — საბჭომ გადასწყვიტა დღის წესრიგში შეიტანოს მოსალოდნელი განცხადება ჰალიფაქსისა (ინგლისი) პალესტინის საკითხის შესახებ. შემდეგ გადაწყდა ერთა ლიგის მორიგ ასამბლეას (ა. წ. სექტემბერს) გადაეცეს განსახილველად ალბანეთის მეფის მიმართვა ერთა ლიგისადმი. ამ მიმართვაში ალბანეთის მეფე პროტესტს აცხადებს იტალიის მიერ ალბანეთის ოკუპაციის წინააღმდეგ. გადაწყდა, რომ ჩინეთის აპელაციის, ალანდის კუნძულებისა და პალესტინის საკითხები საბჭოს ღია სხდომის დღის წესრიგში იქნება შეტანილი.

## ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მიმართვა

**ლონდონი**, 22 მაისი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ჩუნცინელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვან ჯუნ-გუიმ გამოაქვეყნა მიმარ- [illegible] სახელმწიფოებს თავი შეიკავონ იაპონიისათვის საომარი მასალის მიწოდებისაგან, შესწყვიტონ ფინანსიური კავშირი იაპონიასთან და ხელი მიჰყონ [illegible]

## გერმანული პრესის ანტიპოლონური გამოსვლები

**ბერლინი**, 22 მაისი (საკდესი). [illegible]

## საომარი მოქმედება ჩინეთში

(ჩანგჩის ცენტრალური კორესპონდენტის ცნობათა მიხედვით)

### ცენტრალური ჩინეთში

[illegible]

## ჩინელი პარტიზანების [illegible]

**შანხაი**, 22 მაისი (საკდესი). [illegible]

## მარიონეტული „მთავრობის“ ჯარის აჯანყება

**შანხაი**, 22 მაისი (საკდესი). მარიონეტული „მთავრობის“ მიერ მობილიზებულ ჩინელებს არა სურთ იომონ იაპონელების მხარეზე და პირველსავე მარჯვე შემთხვევაში ჩინეთის მთავრობის მხარეზე გადადიან.

როგორც გაზეთი „შენბაო“ იუწყება, 19 მაისს ცანჯოუს (ხებეის პროვინცია) რაიონში იაპონელების წინააღმდეგ აჯანყდა მარიონეტული „მთავრობის“ რაზმი, რომელიც 1.000 კაცისაგან შესდგებოდა. აჯანყებულნი ჩინელ პარტიზანებს შეუერთდნენ. იგივე გაზეთი სწერს, რომ ამ დღეებში სიუჯოუს რაიონში მობილიზებულ ჩინელთა რაზმმა, რომელიც 300 კაცისაგან შესდგებოდა, იარაღი შეუბრუნა იაპონელებს და ბრძოლის შემდეგ ჩინელ პარტიზანებს შეუერთდა.

## პალესტინის ამბების გამო

(ცნობა)

[illegible]

## ანტიფაშისტური მოძრაობის ზრდა გერმანიაში

[illegible] ფაშისტური რეჟიმის საწინააღმდეგო ოპოზიცია უმაგალითო სისწრაფით იზრდება.

სისასტიკისა და რეპრესიების მიუხედავად, — სწერს ჟურნალი, — ანტიფაშისტური პროპაგანდა ამ უკანასკნელი წლის განმავლობაში თვალსაჩინოდ გაძლიერდა. საკმარისია აღინიშნოს, რომ ანტიფაშისტური ლიტერატურის გამოცემა და გავრცელება ამ უკანასკნელი წლის განმავლობაში, 1936 და 1937 წლებთან შედარებით, ერთი-სამად გაი- [illegible]

[illegible] ეძლეოდა, თუ როგორ დაემზადებინა კარტოფილის წვენი უხორცოდ და როგორ შეეცვალა ხორცი ქაშაყით და სხვ. მონტაჟიორმა კინო-სურათს ჩაურთო კადრი, რომლითაც ნაჩვენები იყო ფაშისტური პლუტოკრატიის ფუფუნებითი და მდიდრული ცხოვრება. თუმცა ეს სურათი ბერლინში მხოლოდ ერთ დღეს უჩვენეს, მაგრამ მითქმა-მოთქმა მის შესახებ მთელს ქალაქს მოედო. მონტაჟიორი დაუყოვნებლივ დააპატიმრეს.

22 მაისი. (საკდესი).



დილმის საშუალო სკოლა. გამოცდები ფიზიკაში. უპასუხებს ფრიადოსანი ეთერი მზარეულიშვილი.

## „დავით სასუნცის“ 1000 წლისთავისათვის

**კიევი**, უკრაინის საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობამ შექმნა საიუბილეო კომიტეტი სომხეთის ხალხური ეპოსის „დავით სასუნცის“ ათასი წლისთავის დღესასწაულობისათვის. უკვე შესდგა კომიტეტის პირველი სხდომა. მის თავმჯდომარედ არჩეულია პოეტი—აკადემიკოსი პ. გ. ტიჩინა, თავმჯდომარის მოადგილეებად—მწერალი ი. გოროდსკოი და პ. უსენკო.

კომიტეტმა გადასწყვიტა, უკრაინულ ენაზე სთარგმნოს პოემა „დავით სასუნცის“ მნიშვნელოვანი ნაწილი. (საკდესი).

## სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი 25-29 მაისს აწყობს სტუდენტთა პირველ სამეცნიერო კონფერენციას. კონფერენცია გაიხსნება უნივერსიტეტის რექტორის დოც. დ. ყიფშიძის შესავალი სიტყვით, რის შემდეგაც მოეწყობა კონფერენციის მონაწილე სტუდენტთა შეხვედრა აკადემიკოსებთან.

სამეცნიერო კონფერენციაზე მოსმენილი იქნება 160-მდე მოხსენება, რომელთა უდიდესი ნაწილი მიძღვნილია მათემატიკის, ქიმიის, გეოგრაფია-გეოლოგიის, ბიოლოგიის, ისტორიის, ფილოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის აქტუალური საკითხების გაშუქებისადმი.

## შოლომ ალეიხემის საღამო

ებრაელთა ცნობილი მწერლის შოლომ ალეიხემის დაბადებიდან 80 წლისთავის აღსანიშნავად საქართველოს საბჭოთა მწერლების კლუბში 25 მაისს, საღამოს 8 საათზე, შესდგება საიუბილეო საღამო.

შოლომ ალეიხემის შემოქმედების შესახებ მოხსენებას გააკეთებს დ. წავთოშვილი. სიტყვებით გამოვლენ ქართველი მწერლები ბ. ჟღენტი, ს. ეული, ა. ქუთათელი.

მხატვრულ და მუსიკალურ ნაწილში მონაწილეობას მიიღებენ მსახიობები: კაჩაველი, ბრაგინი, იანოვსკი, ორდენოსანი მომღერალი შარატა-დოლიძე და სახელმწიფო ოპერის გუნდი.

## სტადიონზე

დღეს ლ. ბერიას სახელობის სტადიონზე შესდგება „ა“ ჯგუფის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების მორიგი კალენდარული მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე. თბილისის „დინამო“ შეხვდება მოსკოვის „ცდკა“-ს.

„ცდკა“-ს ფეხბურთელთა გუნდი სსრ კავშირის პირველობის ერთერთი უძლიერესი პრეტენდენტია—გასულ წელს გუნდმა შესანიშნავად ჩაატარა ყველა მატჩი და მოსკოვის „სპარტაკის“ შემდეგ მეორე და მესამე ადგილი გაიყო „მეტალურგის“ ფეხბურთელთა გუნდთან. მიმდინარე წელს „ცდკა“-ს ფეხბურთელთა გუნდმა სსრ კავშირის პირველობაზე უკვე დაამარცხა სტალინგრადის „ტრაქტორი“ (4:2) და სტალინოს „სტახანოვეცი“ (2:0).

1936 წლის შემდეგ თბილისის „დინამო“ დღევანდელ მოწინააღმდეგეს მეექვსედ ხვდება. ოთხი მატჩი თბილისელების გამარჯვებით დამთავრდა (4:0, 5:2, 1:0 და 1:0). 1938 წელს სსრ კავშირის პირველობის გათამაშებაზე შესდგა ამ გუნდების უკანასკნელი მატჩი, რომელიც „ცდკა“-ს გამარჯვებით დამთავრდა ანგარიშით 3:0.

მიმდინარე წელს „ცდკა“-ს ფეხბურთელთა გუნდი საგრძნობლად გაძლიერდა. მასთან თბილისის „დინამოს“ გუნდის შეხვედრა დიდ სპორტულ ინტერესს წარმოადგენს.

### 2:1

გუშინ ლ. პ. ბერიას სახელობის სტადიონზე შესდგა ნიკოლაევის „სუდოსტროიტელისა“ და თბილისის „ლოკომოტივის“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების კალენდარული მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე.

მატჩი დამთავრდა თბილისელების გამარჯვებით ანგარიშით 2:1.

## ტაქსი ბორჯომში

**ბორჯომი**, 23 მაისი (საქდესი). საქავტოტრესტის ბორჯომის განყოფილებამ მიიღო სამი ტაქსი — „მ-1“ ავტომანქანა. ტაქსი მუშაობას დაიწყებს უახლოეს დღეებში.

## დისერტაციის დაცვა

დღეს, 24 მაისს, დღის 12 საათზე ტუბდისპანსერის აუდიტორიაში (მელიქიშვილის ქ. № 16) მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **გ. ა. ბახტაძე** დაიცავს სადოქტორო დისერტაციის თემაზე: „ლეიდენ - ვესტფალის მწვავე ატაქსიის პრობლემისათვის“. ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნული არიან: პროფ. **სვ. ყიფშიძე**, პროფ. **პ. ქავთარაძე** და პროფ. **ვ. ანდღულაძე**.

## სასამართლო

## ცილისმწამებელი

საქართველოში არ არის არცერთი ხელმძღვანელი ორგანო, სადაც დასტოვის არ ელაგოს რაუდენ წიწავას ტვინის ნაცოდვილარი.

ცისმარე დღეს, ადგება თუ არა, პირის დაბანამდე საწერ მაგიდას მიუჯდება და სწერს განცხადებებს პარტიის ცენტრალური კომიტეტის, შინსახკომის, მილიციის, პროკურატურის, სასამართლოს, რედაქციების სახელზე, სწერს „ცხელ-ცხელ“ ცნობებს იმის შესახებ, თუ ვინ რა სთქვა სამზარეულოში, ვისთან რანაირად ჩაცმული მოქალაქე დაინახა ან კიდევ ვის ვისთან აქვს ახლო დამოკიდებულება.

რაუდენი „ფხიზლობს“ უზომოდ, ყველაფერს ეჭვის თვალით უყურებს, გამარჯვება „ღვთისრისხვად“ ეყურება, ცხვირის დაცემინებაშიც კი ფაშისტურ, მიდრეკილებას აღმოაჩენს ხოლმე.

სასწორის ერთ თეფშზე რაუდენის მიერ ნაჯღაბნი საგანგაშო „დანოსები“ რომ დავალაგოთ და მეორეზე რაუდენი დავსვათ, ნაჯღაბნი თავისუფლად გადასწონის მას.

რაუდენი ცხოვრობს ბელგიის ქ. № 6 მის განცხადებებს რომ დავუჯეროთ, იმ სახლის მდგმურები, სადაც ის ცხოვრობს, ყველანი ფაშისტები არიან. ის კი ერთადერთი საბჭოთა მოქალაქეა, ჩავარდნილი ფაშისტურ გარემოცვაში, იბრძვის ლომივით, მაგრამ რევოლუციური კანონიერების დამცველი ორგანოები მას არა თუ არ ეხმარებიან, არამედ ხელსაც უშლიან.

მისი მეზობლები აკაკი დათუაშვილი, ისრაელიანი, გრეცინგერი, კრიგერი, დეკანოზოვი, მისი განცხადებების თანახმად ისეთი ელემენტები არიან, რომ უცხოეთის იმპერიალისტური სახელმწიფოების აგენტებს წამდაუწუმ უმავთულო ტელეგრაფით უკავშირდებიან!

სათანადო ორგანოებმა ბევრი არკვიეს, ბევრი ამოწმეს რაუდენის „კონტრდაზვერვის“ მასალები და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ყველაზე საშიში პიროვნება არის თვითონ რაუდენი, როგორც ცილისმწამებელი, რომ მის განცხადებებს ყველას საფუძვლად უდევს პირადი ინტერესი—საკუჭნაო, სამზარეულო და სხვა წვრილმანები.

რაუდენი გასამართლებულ იქნა სტალინის რაიონის მე-4 უბნის სახალხო სასამართლოს მიერ, როგორც ცილისმწამებელი, და მას მიესაჯა 3 წლით პატიმრობა.

ახლა რაუდენი გაიძახის, რომ სასამართლო, რომელმაც ასეთ „თავდადებულ“ „ფხიზელ“ „რევოლუციონერს“ 3 წლით პატიმრობა მიუსაჯა, მოსყიდულია კაპიტალისტებისა და ფაშისტების მიერო.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ უმაღლესი სასამართლო, რომელსაც კასაციის წესით მიმართა რაუდენ წიწავამ, შეასწორებს პირველი ინსტანციის რბილ განაჩენს სოციალური დაცვის ღონისძიების გადიდების მხრივ.

ეს საჭიროა იმისათვის, რომ რაუდენის მსგავს ცილისმწამებლებს, რომლებიც აქაიქ ჯერ კიდევ მოიპოვებიან, სამუდამოდ მოესპოთ პატიოსან საბჭოთა მოქალაქეებისათვის ჩირქის მოცხების მადა.

**გ. ეკალაძე.**

## დღეს კინოებში

რუსთაველი — [illegible] ბოდა ჯარისკაცი“. დამკვრელი — „მარსელიეზა“, [illegible] რ. [illegible] დაბადებული“, სპარტაკი — „ახალი დროება“, 26 კომუნარის სახ.—„შჩორსი“, კომინტერნი—„კარმელიუკი“, ახალი ამბები—პირველი მაისი მოსკოვში.

## აკადემიკოს ნ. მარის ინსტიტუტში

25 მაისს, საღ. 8 საათზე, აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში (ლერმონტოვის ქ. №—3) შესდგება ეთნოგრაფიის განყოფილების საჯარო სხდომა, რომელზეც მოსმენილი იქნება ეთნოგრაფიის განყოფილების გამგის დოც. გ. ჩიტაიას მოხსენება —„ქვის კუბო ქვემო ალმედან“ და ასპირანტ ნ. რეხვიაშვილის ანგარიში ბორჯომის ხეობაში მივლინების შესახებ.

O

24 მაისს, საღ. 8 საათზე ინსტიტუტის დარბაზში მეცნიერ - მუშაკთათვის მოეწყობა კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს ეთნოგრაფიული გუნდი აკობიას ხელმძღვანელობით.

## ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლი

**27 მაისს**, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლში შესდგება პროპაგანდისტული სემინარის ყველა რგოლის მორიგი მეცადინეობა.

**25 მაისს, ლენინის სახელობის რაიკომის დარბაზში**—ამხ. ქორიძის ლექცია თემაზე: მესამე ხუთწლედში საქართველოს სს რესპუბლიკაში საწარმოო ძალთა განლაგების გეგმის შესახებ. ქართულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

**კიროვის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტში**—ამხ. ათაბეკოვის ლექცია თემაზე: ფაშისტური იტალიის ეკონომიურ-გეოგრაფიული მიმოხილვა. რუსულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

## შემთხვევები

**დიდი ქურდობის აღმოჩენა:** 11 მაისის ღამეს, ფანჯრის გატეხის საშუალებით გაქურდეს სამკერვალო არტელი „მკერავთა კომუნა“ (კომინტერნის ქ. № 5), საიდანაც გაიტანეს 100 ათასი მანეთამდე ღირებული შეკერილი და შეუკერავი ტანსაცმელი.

საქართველოს სისხლის სამართლის მილიციამ მეორე დღესვე აღმოაჩინა ქურდები. როგორც გამოირკვა, ქურდობაში მონაწილეობას იღებდნენ ქურდი-რეციდივისტები—ი. ა. ხამპაპიანი, ა. ი. კარელიანი (იგივე კაროიანი), ო. გ. მხითარიანი და მათთან ერთად ს. ს. სარქისოვი (ბალაჯარის ქ. № 4), ზ. ა. პოღოსოვი (ხახანაშვილის ქ. № 46), ა. ბ. მარქაროვი (მე-4 ახალშენის ქ. № 12), მ. ღ. კამალოვი (ვახტანგოვის ქ. № 1), გ. ს. სარქისოვი (ბალაჯარის ქ. № 4) და სხვ.

ქურდობაში მონაწილეობას იღებდა აგრეთვე კავშირგაბმულობის სახლის შოფერი ს. ი. კარილიანი (წარსულში იგი მიცემული იყო პასუხისგებაში აფერისტობისა და ქურდობისათვის), მან ქურდობის ადგილას მიიყვანა ავტომანქანა, რითაც წაიღეს მოპარული საქონელი.

ქურდებს უპოვნეს მთელი მოპარული საქონელი, რომელიც დამალული იყო ქალაქის სხვადასხვა ადგილას, და დაუბრუნეს არტელს.

ამ საქმეზე დაპატიმრებულია 14 კაცი. მათთან ერთად დაპატიმრებულია აგრეთვე არტელის დარაჯი კ. ე. გასპაროვი, რომელმაც ქურდობის ღამეს თავი მიანება სადარაჯოს. კვლევა-ძიება მთავრდება.

**ჰექა-ქუხილის მსხვერპლი.** 21 მაისს სოფ. სოღანლუღში მინდვრად გასულ კოლმეურნეს ალი მამედ-ხან-ოღლის მოუსწრო ჰექა-ქუხილმა და წვიმამ. სოფლისკენ დაბრუნებულ ალი მამედ-ხან-ოღლის გზაში მეხი დაეცა და იქვე მოჰკლა.

**ნიაღვრის მსხვერპლი.** 21 მაისს საღამოს 5 - 6 საათზე თბილისში მოვიდა კოკისპირული წვიმა, რამაც გამოიწვია დიდი ნიაღვრები ქალაქში. კერძოდ არაჩვეულებრივად ადიდდა დაბახანის ღელე, აბანოების რაიონში. ღელეში მოვარდნილმა წყალმა გაიტაცა სამი ქალი, რომლებიც აბანოს მახლობლად სარეცხს რეცხავდნენ. მათგან მოხერხდა ორის გადარჩენა, ხოლო მესამე—მ. ჯადალოვა (ხუციშვილის ქ. № 5) ნიაღვარმა მტკვარში ჩაიტანა და დაახრჩო. ნეშტი ვერ იპოვნეს.

პასუხისმგებელი რედაქტორი **ვ. ხატიაშვილი**


25 მაისს, საღამოს 8 საათზე, თავდაცვა-ავიაქიმის რაისაბჭოს შენობაში (შაუმიანის მოედანი № 4) მოწვეულია

**26 კომისრის სახელობის რაისაბჭოს XIX პლენუმი.**

დღის წესრიგშია: 1. რაიონის გამწვანების სამუშაოთა მიმდინარეობა და ნარგავთა მოვლა-პატრონობა; 2. რაიონის სანიტარული მდგომარეობა.

**რაისაბჭოს პრეზიდიუმი**

**რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი**
1938-39 წ. სეზონი

| | |
|---|---|
| 24/V | წარმოდგენა 195 **მთაგრეხილზე** |
| 26/V | წარმოდგენა 196 **ანზორ** |
| 27/V | წარმოდგენა 197 **ანზორ** |

**მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი**

| | |
|---|---|
| 24/V | **სამანიშვილის დედინაცვალი** |
| 26/V | **დები ქერარ** |
| 27/V | **მათი ამბავი** |

**თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახ. თეატრი** 1938-39 წ. სეზონი

| | |
|---|---|
| 24/V | მუდმ. ადგ. ტალ. № 175 აბ. სერ. № 3 **ბახჩისარაის შადრევანი** |
| 26/V | მუდმ. ადგ. ტალ. № 176 **ტრავიატა** |
| 27/V | მუდმ. ადგ. ტალ. № 177 აბ. სერ. № 6 **ტრუბადური** |

**საკვამურ-სალუმელო საამშენებლო ტრესტის დირექცია**
**ქ. თბილისის საქალაქო სახანძრო დაცვასთან**

თბილისის საქალაქო სახანძრო დაცვასთან არსებული საკვამურ-სალუმელო საამშენებლო ტრესტის დირექცია იუწყება, რომ სტატისტიკის მონაცემების საფუძველზე ხანძრების უდიდესი რაოდენობა ამჟამად ხდება მჭვარტლით გამოვსებისა და საკვამურებისა და სათბობი სალუმელე ხელსაწყოების უწესივრობისაგან, აგრეთვე დროებითი (რკინის) ღუმელების არასწორად დადგმის შედეგად.

ითვალისწინებს რა საკვამურების დროზე გაწმენდის და სათბობ ხელსაწყოთა წესიერი მდგომარეობის დიდ მნიშვნელობას, რასაც წარსულში ხშირად არღვევდნენ ცალკეული ორგანიზაციები, საწარმოები, სახლთმმართველობები და ცალკე პირები, საკვამურ-სალუმელო საამშენებლო ტრესტის დირექცია გთხოვთ სასწრაფოდ წარმოადგინოთ სია თქვენს სისტემაში შემავალი ობიექტებისა მისამართის ზუსტად აღნიშვნით, იმისათვის, რათა სასწრაფოდ იქნას დადებული ხელშეკრულებები როგორც საკვამურების გაწმენდის და სათბობი ხელსაწყოების რემონტის სამუშაოთა, ისე ყველა სისტემის ღუმელებისა, სამზარეულო კერებისა და სხვ. გადაკეთებისა და ახლების აგების სამუშაოთა დროზე ჩასატარებლად.

ამასთანავე ტრესტის დირექცია იუწყება, რომ 15 მაისიდან ტრესტი იწყებს საკვამურების გაწმენდას მთელ ქალაქში, რისთვისაც გთხოვთ მოახდინოთ ცირკულარული განკარგულება თქვენი გაერთიანების სისტემაში შემავალი ყველა ობიექტისადმი, რომ მათ გამოგზავნონ წარმომადგენლები საკვამურ-სალუმელო საამშენებლო ტრესტში, სასკოლო ქუჩა № 4, სამუშაოთა შესრულებაზე ხელშეკრულებების დასადებად.

ზემდგომი ორგანიზაციების მითითებათა საფუძველზე მოგაგონებთ, რომ ეს ღონისძიებანი შესრულებულ უნდა იქნას არა უგვიანეს ა. წ. 1 ივნისისა, რათა ტრესტს შეეძლოს დროზე შეუდგეს საკვამურების გაწმენდას.

საკვამურ-სალუმელო საამშენებლო ტრესტის დირექტორი **ასიტოვი.**

170

**ა.-ქ. რკ. გზის ბუფეტების ტრესტი აცხადებს, რომ ა. წ. 24 მაისიდან სადგ. მცხეთაში ყოფილ რკ. გზ. ბაღში მტკვრის პირად იხსნება საზაფხულო პავილიონი, სადაც კერძების დამზადება იწარმოებს გამოცდილი კულინარების მიერ. ფასები ხელმისაწვდომია.**

პავილიონი ღიაა დილის 7 საათიდან ღამის 4 საათამდე. ბაღში ყოველდღიურად დაუკრავს აზიური მუსიკა მეთარე **პეტროს დადაევის** ხელმძღვანელობით.

2—2 169 **დირექცია.**

**სსრკ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საბავშვო უნივერმაღის მყიდველთა საყურადღებოდ**

27 მაისს, საღამოს 6 საათზე, საბავშვო უნივერმაღის შენობაში (რუსთაველის პროსპექტი, № 4)

**შესდგება ნორჩი მყიდველების და მათი მშობლების კონფერენცია.**

625 **დირექცია.**

**ექიმ კანტოროვიჩის თმის მკურნალობისა და კოსმეტიკის კაბინეტი**

ელბაქიძის დაღმართი, 21
მიღება დილის 12-დან 4 ს-მდე

მუწუკების, ფერისმჭამელას, ჭორფლის, ლაქების, კანის სიხმელის, თმის დაცვენის, თმების მკურნალობა, ხალების, მეჭეჭების, ნაჭრილობევების და პირისახისა და თავის კანის სხვა ნაკლთა გაქრობა. 3—2 1768


აკაკი, ვიქტორ, მარუსია გოგიტაძეები, სერგო, შოლია მეგენეიშვილები მწუხარებით იუწყებიან საყვარელი ბიძის **სპირიდონ ოქრომპირის-ძე ბერაიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 24/V, 5 ს. ავჭალაში. 1898

საქვაჭრობის საგეგმო-საფინანსო განყოფილების თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ თამარ ზალდასტანიშვილს მისი დედის **ნინო იოსების-ასულ ზალდასტანიშვილის** გარდაცვალების გამო. 1888

კალანდაძის ქ. № 12 სახლის მცხოვრებნი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ საყვარელი მეზობლის **მიხეილ მათეს-ძე მირიანაშვილის** გარდაცვალების გამო. 1912

საქვაჭრობის მუშა-მოსამსახურენი თანაგრძნობას უცხადებენ თამარ გიორგის-ასულ ზალდასტანიშვილს მისი დედის **ნინო იოსების-ასულ ზალდასტანიშვილის** გარდაცვალების გამო. 1889

დამწუხრებული მეუღლე ქსენია, შვილები ნუგზარ და როზა იუწყებიან დაუვიწყარ **დიმიტრი ელიზბარის-ძე ლოლობერიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება კალინინის, 73. 4 ს. დაკრძალვა 24/V, კუკიის სასაფლაოზე. 1880

დამწუხრებულნი გიორგი და სალომე კალანდაძეები შვილებით ვასოთი, ბესარიონით, მაროთი, ლუბათი და მანსალათი, სიძეებით და რძლებით იუწყებიან ძვირფას **ნინო დევდარიანის** გარდაცვალებას. 1892

თბ. რკინიგზის საბავშვო ბაღების თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ მარიამ ჰეიშვილს მისი დედის **მაშიკოს** გარდაცვალების გამო. 1895

და მარგო, სიძე გოგი შვილებით ზაირათი და ნანულით ხიმშიაშვილები იუწყებიან, რომ 27/V სიღნაღში დანიშნულია დაუვიწყარ **იოსებ ნიკოლოზის-ძე შალვაშვილის** სამოქალაქო პანაშვიდი. 1896

სარეწაო კოოპერაციის საამშენებლო და საშენმასალათა კავშირის თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან არტელ „ახალმშენის“ გამგეობის თავმჯდომარის **სპირიდონ ოქრომპირის-ძე ბერაიას** გარდაცვალებას დაკრძალვა 24/V, 5 ს. ავჭალაში. 1904

„ტექსტილსბიტის“ დირექცია, პარტორგანიზაცია და მთელი კოლექტივი მწუხარებით იუწყება **დიმიტრი ელიზბარის-ძე ლოლობერიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 24/V, 4 ს. კალინინის, 73. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 1899

მეუღლე ბაბი, შვილები გიგა, მათე, რძალი კლარა მირიანაშვილები იუწყებიან საყვარელ **მიხეილ (მიხაკო) მათეს-ძე მირიანაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე 8 ს. კალანდაძის, 12. დაკრძალვა 26/V, 6 ს. ვაკის სასაფლაოზე. 1906

ნინო, ოლიმპიადა, პლატონ და აკაკი ლეჟავები შვილებით იუწყებიან **ნინო ყარამანის-ასულ დევდარიანის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 25/V, 5½ ს. გამოსვენება ჩერნიშევსკის, 15. 1907

ესტატე მირიანაშვილი შვილებით დავითით, შალვათი და თამარით, დები ე. მიქელაძე, ა. კიკნაძე, ვ. ელიზბარაშვილი ოჯახებით იუწყებიან საყვარელი ძმის და ბიძის **მიხეილ მათეს-ძე მირიანაშვილის** გარდაცვალებას. 1908

მე-18 საშ. სკოლის პედკოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს სკოლის დირექტორს პართენ ქაჯაიას მისი სიძის **აპოლონ ჭუბაბრიას** გარდაცვალების გამო. 1903

დამწუხრებულნი დავით, მატრონა, გრიშა, კოლია ცოლშვილით, პართენ ქაჯაიები, ქრისტინა, ვასილ ნაროუშვილები იუწყებიან საყვარელი სიძის **აპოლონ სპირიდონის-ძე ჭუბაბრიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 24/V, 5½ ს. გამოსვენება კლარა ცეტკინის, 6. 1897

დამწუხრებული მეუღლე გრიშა, და ანიჩკა ქიქოძისა მეუღლე ნესტორით და შვილობილით ანოთი, ძმა დუდუ, რძალი მანია ანელაძეები იუწყებიან საყვარელ **ნინო ყარამანის-ასულ დევდარიანის** გარდაცვალებას. 1909


რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის—3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, საბჭოთა მშენებლობის და განათლება-ჯანმრთელობის—3—80—83, მრეწველობისა და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, 3—80—81, პ.-მგ. მორიგის—3—26—67, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი“, თბილისი: ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული 1770